

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი

დავის ალტერნატიული გადაწყვეტა

წელიწადი

2018-2019



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

სასამართლოს ჩარევის ფარგლები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას

წინამდებარე ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს იმის ილუსტრირება, თუ რა მთავარი საფუძვლები არსებობს იმისა, როდესაც სასამართლოს შეუძლია ჩაეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მისი ცნობა-აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას. უფრო მეტი ყურადღება კი გამახვილდება კორუფციისაზე, რადგან ეს ანგრევს ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს საჯარო წესრიგის მთავარ პრინციპებს, რაც არის საერთაშორისო დონეზე გაკიცხული და მტკიცედ დადგენილი. წინამდებარე ნაშრომში განიხილება ის მთავარი საფუძვლები, თუ რა შემთხვევაში და რა ფარგლებით შეუძლია სასამართლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ჩარევა გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას. სხვადასხვა იურისდიქციის ჰარმონიზაცია კი ამ საკითხთან მიმართებით შეამცირებს წინააღმდეგობებს არსებულს საერთაშორისო დავის გადაწყვეტის პრაქტიკაში კორუფციასთან და თემაში განხილულ სხვა საფუძვლებთან დაკავშირებულ საქმეებზე.

საკვანძო სიტყვები: ცნობა-აღსრულება, სასამართლოს ჩარევის ფარგლები, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, კორუფციული გარიგება, საშუაშაგლო ხელშეკრულება, ჩარევის მინიმალური სტანდარტი, ჩარევის მაქსიმალური სტანდარტი, ჩარევის შუალედური სტანდარტი.

1. შესავალი

საერთაშორისო არბიტრაჟი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებად დიდი ხანია გამოიყენება. არბიტრაჟის, როგორც მხარეთა შორის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების, როლი და მნიშვნელობა თანდათანობით იზრდება. „შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ დღეს საყოველთაოდ არის აღიარებული საერთაშორისო კერძო ურთიერთობებიდან (და არა მარტო ამ ურთიერთობებიდან) წარმოშობილი დავებისა და უთანხმოებების რეგულირების ალტერნატიული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების უპირატესობა სახელმწიფო სასამართლოებთან შედარებით, განსაკუთრებით საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში, როდესაც ერთი მხარე ვერ ენდობა მეორე მხარის სამართალწარმოებას“.¹ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ყოველთვის თანხმდებიან, რომ სახელმწიფოს ჩარევა მათ ურთიერთობებში, როგორც კეთილგანწყობილიც არ უნდა იყოს ეს ჩარევა, მათ შორის არსებული დავის გადაწყვეტის თვალსაზრისით, ვერ გამოიღებს ისეთ შედეგს, როგორსაც მათ მიერ რეგულირების ალტერნატიული საშუალებებისადმი მიმართვა.

სასამართლო სამართალწარმოებასთან მიმართებაში არბიტრაჟის უპირატესობებიდან შეიძლება მრავალი დავასახელოთ, მათ შორის: მხარეთა შესაძლებლობა, დავის გადაწყვეტის პროცედურა მაქსიმალურად შეუსაბამონ თავიანთ მოთხოვნებსა და ინტერესებს; მხარეთა თავისუფალი ნების საფუძველზე არბიტრთა შერჩევა, მათი კვალიფიკაციისა და დავის საგნის თავისებურების გათვალისწინებით; პროცესის მოქნილობა, ეფექტურობა და სისწრაფე; საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების დაუშვებლობა და სხვა.² ეს უკანასკნელი განმტკიცებული არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპით, რომელიც არის არბიტრაჟის, როგორც ინსტიტუტის ქვაკუთხედი და უმნიშვნელოვანესი ღირებულება, რაც დავის გადაწყვეტის აღნიშნულ წესს კიდევ უფრო მიმზიდველსა და ხელსაყრელს ხდის.³

* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

¹ ლილუაშვილი თ., „საერთაშორისო კერძო სამართალი“, თბ., 2012, 167.

² ცერცვაძე გ., „საერთაშორისო არბიტრაჟი“, თბ., 2012, 23.

³ Auf'mkolk H., US Punitive Damages Award before German Courts – Time for a New Approach, in: Freiburg Law Students Journal, Vol. 3, Issue 6, University of Freiburg, Freiburg, 2007, 4.

თუმცა, რიგ გარემოებებში საბოლოო პრინციპის დაცვა შეიძლება ბოლომდე ვერ უზრუნველჰყონ და წარმოიშვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის რისკი. აღნიშნული რისკი შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობით ან აღსრულებით საფრთხე ექმნება ქვეყნის საჯარო წესრიგს. ამ უკანასკნელის დარღვევის დაუშვებლობა კი, თავის მხრივ, ემსახურება ქვეყნის კანონიერი ინტერესების დაცვასა და მართლწესრიგის განმტკიცებას.⁴ შესაბამისად, საარბიტრაჟო დავების გადაწყვეტისას, ხშირ შემთხვევაში შეიძლება სასწორზე იდოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელთაგან ერთ-ერთის გაუთვალისწინებლობამ კერძო პირის ან სახელმწიფოს ფუნდამენტური ინტერესების შელახვა შეიძლება გამოიწვიოს.

აქედან გამომდინარე, პრობლემატური და აქტუალური საკითხი იმასთან დაკავშირებით, ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში რომელ მათგანს მიენიჭოს უპირატესობა, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული ბალანსი ამ ორ ფუნდამენტურ ინტერესს შორის და არ შეილახოს არც მოდავე და არც ცნობა-აღსრულების ქვეყნის ინტერესები. ამასთანავე, უარყოფითი ზეგავლენა არ მოახდინოს არბიტრაჟის ინსტიტუტის სანდოობასა და ეფექტიანობაზე. საკითხის კომპლექსურობიდან და სირთულიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობას და, თუნდაც, ერთსა და იმავე იურისდიქციას მიკუთვნებულ სასამართლოებს აქვთ სხვადასხვა მიდგომა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას, რაც ინვესტორთა სასამართლო პრაქტიკის განსხვავებულობასა და არაერთგვაროვნებას.⁵

პრაქტიკაში საჯარო წესრიგის დარღვევა შეიძლება მრავალი ფორმით გამოვლინდეს: არბიტრთა მოსყიდვა და მიკერძოებულობა; ხელშეკრულებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ზნეობრივ პრინციპებს ან/და ქვეყნის ინტერესებს, კერძოდ, თაღლითობისა და კორუფციული გარიგებების შედეგად დადებული ხელშეკრულებები და ა.შ.⁶

პრაქტიკაში მსგავსი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას დავა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ეტაპზე. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ორ ძირითად საკითხს: ა) სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი სამართლის შერჩევა – გამომდინარე იქიდან, რომ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში განსხვავებულად არის წარმოდგენილი საჯარო წესრიგისა თუ კორუფციის ცნებები, რამაც სერიოზული გავლენა შეიძლება მოახდინოს დავის საბოლოო შედეგზე; ბ) სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადასინჯვის ფარგლები – სხვადასხვა ქვეყანას აქვს განსხვავებული მიდგომა და სტანდარტები სასამართლოს ჩარევის ფარგლებთან, უფრო ზუსტად კი, სასამართლო განხილვაზე დასაშვებ მტკიცებულებებთან მიმართებაში, რამაც, ასევე, რადიკალურად განსხვავებულ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს.⁷

ამგვარად, ნაშრომის მიზანია იმის შესწავლა და ილუსტრირება, თუ როგორ უნდა მოახდინოს მოსამართლემ გამოსაყენებელი სამართლის არჩევა და რა ფარგლებში უნდა ჩაერიოს სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას. აღნიშნულის შესაბამისად გაკეთდება დასკვნა სასამართლოს ჩარევის ფარგლების ყველაზე მისაღებ და ეფექტურ სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც მაქსიმალურად უზრუნ-

⁴ საერთაშორისო საარბიტრაჟო წესებითა და ნაციონალური კანონმდებლობით განმტკიცებულია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე შეიძლება პირს უარი ეთქვას, თუ აღნიშნული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ცნობა-აღსრულების ქვეყნის საჯარო წესრიგს: New York Convention 1958, Article V(2)(b) UNCITRAL Model Law 2006, Article 36(1).

⁵ Park W., Why Courts Review Arbitral Awards, 2001, 595, <<http://www.williamwpark.com/documents/Why%20Courts%20Review%20Awards.pdf>>, [24.07.2016].

⁶ Hwang M., Lin K., Corruption in Arbitration: Law and Reality, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 51.

⁷ Sayed A., Corruption in International Trade and Commercial Arbitration, Kluwer Law International, Hague, 2004, 391-421.

ველყოფს ორი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მდგომი ფუნდამენტური ღირებულების – საბოლოობისა და საჯარო წესრიგის პრინციპების – თანაზომიერ დაცვას.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კვლევის დროს გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი მეთოდი. ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია, როგორც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა, ისე საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავისა და დასკვნისგან. საკვლევ თემაში თავდაპირველად სასამართლოს ჩარევის ფარგლებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ეტაპზე, განვიხილავთ მასთან მიმართებაში არსებულ სხვადასხვა სტანდარტის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს და განხორციელებული შედარებითი ანალიზის საფუძველზე შევეცდებით დავადგინოთ, თუ რომელი უზრუნველყოფს ყველაზე უკეთ სამართლიანობის დაცვასა და განმტკიცებას. აღნიშნულის შემდეგ წარმოდგენილი იქნება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძვლები. ბოლოს კი შევეხებით გამოსაყენებელი სამართლის შერჩევის საკითხსა და ამ პროცესთან დაკავშირებულ სირთულეებს.

2. სასამართლოს ჩარევის ფარგლების სტანდარტები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში

საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია, რომ ბათილად ცნოს ან უარი თქვას გადაწყვეტილების აღსრულებაზე, თუ ერთ-ერთი საფუძველი საერთაშორისო საარბიტრაჟო წესების მიხედვით არის დადგენილი. უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის V(2)(ბ) მუხლითა და საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ UNCITRAL-ის მოდელური კანონის 36(1) მუხლით გათვალისწინებულია, რომ:

„საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე შეიძლება აგრეთვე უარი ითქვას, თუ იმ სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლება, სადაც მოითხოვება გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, ჩათვლის რომ: ... გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება ეწინააღმდეგება სახელმწიფოს საჯარო წესრიგს“.⁸

მსგავს დათქმას ითვალისწინებს საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ UNCITRAL-ის მოდელური კანონის 34(2)(b)(ii) მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს საჯარო წესრიგის საფუძველზე. შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, რომ განსაზღვროს არაკანონიერების ხასიათი და მნიშვნელობა და გადაწყვიტოს გონივრულია თუ არა გადაწყვეტილების აღსრულება.⁹ მნიშვნელოვანი გარემოებაა გასათვალისწინებელი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას: საარბიტრაჟო განხილვის ადგილის საჯარო წესრიგის დაცვა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობა. არსებობს მრავალი შეხედულება ამ ორ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპი ასახულია უმეტეს ნაციონალურ და საერთაშორისო საარბიტრაჟო წესებში.¹⁰ ეს პრინციპი ნათლად ასახავს საერთაშორისო არბიტრაჟის სულისკვეთებას, მაგალითად, დავის გადაწყვეტა გასაჩივრების შესაძლებ-

⁸ ნიუ-იორკის კონვენცია 1958, მუხლი (2)(ბ); UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 36(1).

⁹ *Takahashi K.*, Jurisdiction to Set Aside a Foreign Arbitral Award, in Particular an Award Based on an Illegal Contract: a Reflection on the Indian Supreme Court's Decision in *Venture Global Engineering*, in: *American Review of International Arbitration* 2008, Vol. 19, Issue 1, Columbia Law School, New York, 2008, 183.

¹⁰ *German Arbitration Law* 1998, Section 1055, *Swiss Federal Code on Private International Law* 1987, Article 190, *English Arbitration Act* 1996, Section 98.

ლობის გარეშე. ამ პრინციპს აქვს რამდენიმე უპირატესობა: იმ საფუძვლების ხელახლა განხილვის თავიდან აცილება, რომლებიც უკვე გადანყვეტილია არბიტრაჟში, დავის გადანყვეტის პროგნოზირებადობის გაზრდა საერთაშორისო არბიტრაჟში და უცხოური და ტრანსნაციონალური ტრიბუნალების პატივისცემა.¹¹ სხვა მხრივ, საჯარო წესრიგი ფარავს სახელმწიფოს ინტერესების ფართო წრეს და სცილდება საჯარო წესრიგის მიზნებს საარბიტრაჟო გადანყვეტილების საბოლოობის პრინციპის დასაცავად. განსახილველი შემთხვევისათვის საჯარო წესრიგის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვლინება საარბიტრაჟო გადანყვეტილების საბოლოობასთან ერთად არის ისეთი ხელშეკრულებების აკრძალვა, რომლებიც ეწინააღმდეგება ზნეობრივ პრინციპებს ან/და საჯარო წესრიგს. მაგალითად, თაღლითობისა და კორუფციული გარიგებების შედეგად დადებული ხელშეკრულებები. ამგვარად, გასაგებია რომ ნაციონალური სასამართლოები ჩვეულებრივ იძულებულნი არიან, რომ აღასრულონ სახელმწიფოს საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სახელმწიფოს მთავარი ინტერესებისა და ფუნდამენტური მორალური ფასეულობების სანინააღმდეგო შეთანხმებები. შესაბამისად, ეს ძირს გამოუთხრის სამართლიან შეჯიბრებასა და საჯარო მმართველობის ერთიანობას.¹²

მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აღმოცენდება საარბიტრაჟო გადანყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის გადანყვეტისას არის ის, რომ სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს თუ არა ხელახლა მტკიცებულებები, თუ ისინი უნდა დაეყრდნონ მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც მოიპოვეს და გამოიკვლიეს საარბიტრაჟო განხილვის დროს. ხშირად საარბიტრაჟო გადანყვეტილების მიღების შემდეგ მხარე უარყოფს გადანყვეტილებას იმ საფუძვლით, რომ კორუფციის მნიშვნელოვანი მტკიცებულება მოიპოვა საარბიტრაჟო სამართალწარმოების დასრულების შემდგომ ან ტრიბუნალმა არ გამოიკვლია სათანადოდ მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდა კორუფციას. სხვადასხვა იურისდიქციას მიკუთვნებულ სასამართლოებს აქვთ განსხვავებული მიდგომა საარბიტრაჟო გადანყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის გადანყვეტისას. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადანყვეტილების გადასინჯვის ფარგლები არის შემდეგი: ა) მინიმალური სტანდარტი; ბ) მაქსიმალური სტანდარტი; გ) კონტექსტუალური (შინაარსობრივი) სტანდარტი.¹³

2.1. სტანდარტის სახეები

2.1.1. მინიმალური სტანდარტი

სასამართლოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ჩარევის მინიმალური სტანდარტით, შეისწავლიან და იკვლევენ კორუფციის ფაქტებს, რომელთა გავლენითაც არის მიღებული საარბიტრაჟო გადანყვეტილება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოები რომლებიც იყენებენ მინიმალური ჩარევის სტანდარტს, შესაძლებელია რომ გამოიკვლიონ კორუფციასთან დაკავშირებული საკითხი და შესაბამისად ხელახლა ამონებენ საარბიტრაჟო გადანყვეტილების კვლევის შედეგებთან დაკავშირებულ კანონსა და ფაქტებს.¹⁴ პირველი შესაძლო ვარიანტია, როდესაც მხარე განაცხადებს, რომ საარბიტრაჟო გადანყვეტილება მიღებულია კორუფციის საფუძველზე და ამის შესახებ წარადგენს ახლად აღმოჩენილ მტკიცებუ-

¹¹ Unites States Supreme Court, 83-1569, Mitsubishi Motors Corp. v. Soler Chrysler-Plymouth Inc, 1985.

¹² Hwang M., Lin K., Corruption in Arbitration: Law and Reality, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 51.

¹³ Sayed A., Corruption in International Trade and Commercial Arbitration, Kluwer Law International, Hague, 2004, 391-421.

¹⁴ Harbst R., Korruption und Andere Ordre Public-Verstöße als Einwände im Schiedsverfahren - Inwieweit Sind Staatliche Gerichte an Sachverhaltsfeststellungen des Schiedsgerichts Gebunden, Zeitschrift für Schiedsverfahren 2007, Vol. 17, Issue 1, Deutsche Institution für Schiedsgerichtsbarkeit, Frankfurt, 26.

ლებას. მეორე, საარბიტრაჟო ტრიბუნალის შეცდომა სამართლის გამოყენებისას, ხოლო მესამე – თაღლითობის არსებობა ან იძულება.¹⁵ ყველა აღნიშნული სხვადასხვა სცენარი მაგალითების საფუძველზე იქნება განხილული ქვემოთ.

პირველად, გაანალიზებული იქნება შემთხვევა, როდესაც სასამართლოები ადგენენ მაღალი ხარისხით შეუსაბამობას საარბიტრაჟო ტრიბუნალის კვლევებსა და მის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის. ამ მნიშვნელოვანი ასპექტის კარგი ილუსტრაციაა საქმე *Northrop v. Triad*,¹⁶ როდესაც სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ერევა მინიმალური ფარგლების სტანდარტის გამოყენებით.

ამერიკული თავდაცვის კომპანიას, *Northrop Corporation*, სურდა მიეყიდა საუდის არაბეთის მთავრობისთვის სამხედრო აღჭურვილობა და მასთან დაკავშირებული დამხმარე მომსახურება.

ამ მიზნებისთვის, კომპანიამ გააფორმა საშუამავლო ხელშეკრულება ორ ლიბტენშტაინურ კომპანიასთან, რომლებსაც სრულად ფლობდა ცნობილი ბიზნესმენი საუდის არაბეთიდან, ბატონი *Adnan Khashogi*. დავა წარმოიშვა განუხილელი საშუამავლო მომსახურებისთვის თანხის გადახდის გამო, რომელსაც *Northrop* სთხოვდა გადახდას. *Northrop* ამტკიცებდა, რომ საუდის არაბეთის გადაწყვეტილება კრძალავდა სამხედრო აღჭურვილობის მიყიდვას საუდის არაბეთის მთავრობისთვის და შესაბამისად აცხადებდა, რომ საშუამავლო ხელშეკრულება ვერ შესრულდებოდა. მიუხედავად ამისა, საარბიტრაჟო ტრიბუნალი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მიუხედავად საუდის არაბეთის ბრძანებისა, კალიფორნიის სამართლის მიხედვით (გამოსაყენებელი სამართალი) *Northrop* იძულებული იყო შეესრულებინა ხელშეკრულება და შედეგად მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც უნდა აღსრულებულიყო საშუამავლო მომსახურებისთვის თანხის გადახდა. მიუხედავად ამისა, *Northrop*-მა წარმატებით უარყო გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოში, ფედერალურმა საოლქო სააპელაციო სასამართლომ გააუქმა წინა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ:

...კალიფორნიული სამართლის განმარტებისას დაშვებული მარტივი შეცდომა არ იქნება საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ გამართლდეს უარი არბიტრთა გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ. არბიტრთა დასკვნებს სამართლებრივ საკითხებზე მოსამართლეები პატივისცემით უნდა მოეპყრან. სამართლებრივი საკითხები იყო მთლიანად შემოკლებული და არგუმენტირებული არბიტრებისთვის; არბიტრებმა სიფრთხილით განიხილეს და გადაწყვიტეს ის მეტისმეტად შემწყნარებლური წერილობით წარდგენილი მოსაზრებით.¹⁷

ამკარაა, რომ სასამართლო სრულად დაეყრდნო საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს და აღარ განიხილა ხელახლა საშუამავლო ხელშეკრულების არაკანონიერების საკითხი.

ამგვარად, ეს სასამართლო გადაწყვეტილება აჩვენებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების საბოლოობის პრინციპის დაცვის ვალდებულების მაღალ ხარისხს.

სასამართლომ მსგავსი მიდგომა აჩვენა საქმეში *Thomson-CSF v. Frontier AG*.¹⁸ განსახილველი დავა დაკავშირებული იყო ფრანგული სამართლის შესაბამისად მართული საშუამავლო ხელშეკრულების არსთან. ფრანგული სამართლის შესაბამისად უნდა ემოქმედა *Frontier AG*-ს

¹⁵ *Hwang M., Lin K., Corruption in Arbitration: Law and Reality*, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 58.

¹⁶ United States District Court, C.D. California, CV83-7945, *Northrop Corp. v. Triad Financial Establishment*, 1984.

¹⁷ იქვე, პარაგ. 1269.

¹⁸ ICC Rulings: ICC case No. 7664, *Frontier AG v. Brunner Societe vs Thomson CSF*, Final Award, 1996, ეს საქმე რამდენჯერმე იქნა განხილული სხვადასხვა ქვეყნის ნაციონალურ სასამართლოში.

რათა მიეყიდა ექვსი ფრიგატი ტაივანისთვის Thomson-CSF-ისთვის გადასაცემად. მხარეები შევიდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში 1990 წელს, როდესაც საფრანგეთის მთავრობა მიუხედავად გარიგების წინააღმდეგობისა, იყო ვალდებული ჩინეთთან შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად ფრიგატების გაყიდვის თაობაზე. მიუხედავად ამისა, 1991 წელს საფრანგეთის მთავრობამ ხელახლა დააკანონა გარიგება და არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, რის შემდეგაც Thomson-CSF-მა მოიპოვა უფლება ხელი მოეწერა ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ტაივანთან. Frontier AG-მა მას შემდეგ, რაც Thomson-CSF-მა უარი განაცხადა, რომ გადაეხადა მომსახურების გადასახადი, მიმართა არბიტრაჟს შვეიცარიაში. Frontier AG ამტკიცებდა, რომ საშუამავლო ხელშეკრულების მიზანი იყო ჩინელი მაღალჩინოსნების პროტესტის უარყოფა ბატონი Kwan-ის მიერ ლობირების მიზნით კანონიერად განხორციელებული საქმიანობის საფუძველზე. ამის საწინააღმდეგოდ, Thomson-CSF ამტკიცებდა, რომ ბატონი Kwan გარეული იყო კორუფციაში და მოქმედებდა საფრანგეთის ვეტოს გასაწინააღმდეგებლად არაკანონიერი გზებით. მიუხედავად ამისა, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უარყო კორუფციასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები და მიიღო Frontier AG-ისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება. Thomson-CSF-მა უარყო მიღებული გადაწყვეტილება სხვადასხვა მიზეზის საფუძველზე შვეიცარიის ფედერალურ ტრიბუნალში. *Northop v. Triad*-ის საქმის მსგავსად, ერთ-ერთი მიზეზთაგანი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების უარყოფის იყო კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს სავაჭრო ხელშეკრულების დადებას რაიმე ზეგავლენით. სასამართლომ დასაბუთებაში აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი ნორმა იყო „ცუდად გამოყენებული“ და გადაწყვეტილების უარყოფა იყო საფუძველიანი, ეს არ იყო საკმარისი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ბათილად ცნობისთვის.¹⁹

შესაბამისად, ზემოთ ნახსენებ ორივე შემთხვევაში სასამართლოები იყვნენ იძულებული საარბიტრაჟო ტრიბუნალების გადაწყვეტილებებში ჩარეულიყვნენ და განემართათ შესაბამისი კანონი. ამასთან, საქმეზე *Thomson-CSF v. Frontier AG* სასამართლო იყო საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მოპოვებული ფაქტობრივი მტკიცებულებების ხელახალი გამოკვლევის წინააღმდეგი. განსაკუთრებით, სასამართლომ უარყო Thomson-CSF-ის არგუმენტი, რომ ტრიბუნალი დაეყრდნო „არარსებულ მტკიცებულებას“ მაშინ, როცა ბატონი Kwan-ის ქმედება არ ქმნიდა კორუფციას.²⁰

ზოგადი მინიმალური ჩარევის შეზღუდვები მაინც არსებობს. ეს სამი შეზღუდული შემთხვევა განხილული იქნება მაგალითების საფუძველზე ქვემოთ.

პირველად, შევხებით იმ სცენარს, როდესაც სასამართლო ხელახლა იწყებს საარბიტრაჟო ტრიბუნალის კვლევის შედეგების განხილვას მხარის მიერ წარმოდგენილი ახლად აღმოჩენილი მტკიცებულების საფუძველზე. მტკიცებულებათა ძალა შესაძლებელია განისაზღვროს დროის მიხედვით, ანუ იმის საფუძველზე რომელი უფრო ახლად არის აღმოჩენილი. უწინდელი მტკიცებულება შეიძლება ცნონ დაუშვებლად იმის გამო, რომ საარბიტრაჟო საქმის ზეპირი მოსმენის დროს მტკიცებულება იყო ხელმისაწვდომი და მოდავე მხარემ ვერ შეძლო წარდგენა ტრიბუნალისთვის.²¹ Westacre-ს საქმე იქნება ამ საკითხის სათანადო ილუსტრაცია.

Westacre შევიდა სახელშეკრულებო ურთიერთობაში იუგოსლავიის ფედერალური სოციალისტური რესპუბლიკის მომმარაგებელ და ხელშემწყობ ფედერალურ მმართველობასთან (შემდეგ – დირექტორატი) და იუგოსლავიის ბანკთან, რომელთა შორის ურთიერთობაშიც

¹⁹ *Sayed A.*, *Corruption in International Trade and Commercial Arbitration*, Kluwer Law International, Hague, 2004, 400.

²⁰ *Hwang M., Lin K.*, *Corruption in Arbitration: Law and Reality*, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 54.

²¹ *Enonchong N.*, *The Enforcement of Foreign Arbitral Awards based on Illegal Contracts*, in: *Lloyd's Maritime and Commercial Law Quarterly* 2000, Vol.20, Issue 4, LLP Professional Publishing, Vancouver, 2000, 504 – 505.

Westacre მონაწილეობდა შუამავლად სამხედრო აღჭურვილობის ვაჭრობის თაობაზე ქუვეითის მთავრობასთან. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულდა ქუვეითში შვეიცარიული კანონმდებლობის შესაბამისად და საარბიტრაჟო განხილვის ადგილი იყო ასევე შვეიცარია. მას შემდეგ, რაც დირექტორატმა დაარღვია სახელშეკრულებო ვალდებულებანი, Westacre-მ მიმართა არბიტრაჟს. დირექტორატმა განაცხადა, რომ Westacre მექრთამეობდა ქუვეითელებთან თავიანთი გავლენის გამოსაყენებლად სავაჭრო ხელშეკრულებების დადების მიზნით. ამ საფუძვლით დირექტორატი აცხადებდა, რომ ხელშეკრულება ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო საჯარო წესრიგს და სწორედ ამიტომ ითხოვდნენ მის ბათილობას. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გადაწყვიტა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იყო მნიშვნელოვანი მექრთამეობის დასამტკიცებლად და მექრთამეობასთან დაკავშირებული ყველა პრეტენზია უარყვეს.²² მეტიც, არბიტრებმა დაადგინეს, რომ საკუთარი საწარმოთი ლობირება საჯარო ხელშეკრულებების დასადავად არ წარმოადგენს უკანონო ქმედებას და არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს შვეიცარიული სამართლის მიხედვით.

დირექტორატმა სარჩელი შეიტანა შვეიცარიის ფედერალურ სასამართლოში და შეეცადა გაეუქმებინა შვეიცარიის კანონმდებლობის მიხედვით. მოსარჩელებმა თავიანთი სარჩელი კვლავ დაუკავშირეს კორუფციულ გარემოებებს. შვეიცარიის ფედერალურმა ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ მათ შეეძლოთ დაეფუძნებინათ თავიანთი არგუმენტაცია მხოლოდ ფაქტებზე, რომლებიც დასაბუთებულია საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ და მას შემდეგ, რაც პრეტენზიები კორუფციის შესახებ განხილულია და უარყოფილი ტრიბუნალის მიერ, მოსარჩელების მოთხოვნები უნდა უარყონ ამ შემთხვევაშიც. სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობს საფუძველი გასაჩივრების და შესაბამისად უცვლელად დატოვა გადაწყვეტილება.²³

გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ეტაპზე დირექტორატმა გადაწყვეტილება კვლავ გაასაჩივრა ინგლისის უმაღლეს სასამართლოში და მოგვიანებით სააპელაციო სასამართლოში. დირექტორატმა ახალი მტკიცებულების საფუძველზე, რომელიც არ იყო წარდგენილი საარბიტრაჟო განხილვისას, წერილობითი ჩვენებით განაცხადა, რომ საშუამავლო ხელშეკრულება იყო თაღლითური შეთანხმება ალ-ოტაიბისთვის (შუამავლისთვის) Westacre-ს მემკვიდრეობით ქრთამის მისაცემად. მათი მტკიცებით, Westacre მოქმედებდა როგორც გადამზიდავი იმ მიზნით, რომ შეენარჩუნებინა ანონიმურობა ალ-ოტაიბის და ქუვეითის სხვა საჯარო მოხელეებს. მეტიც, დირექტორატმა განაცხადა, რომ Westacre-ს მოწმეებმა მისცეს ცრუ ჩვენება საარბიტრაჟო სამართალწარმოების დროს მექრთამეობის ფაქტის დასაფარად. მოსამართლე Lord Justice Mantell-მა აღნიშნა, რომ ახალი პრეტენზია დაფუძნებული იყო იმ ფაქტებზე, რომლებიც ცნობილი იყო მოსარჩელისათვის საარბიტრაჟო სამართალწარმოებისას და შესაძლებელი იყო იყო მათი წარდგენა ტრიბუნალის წინაშე.²⁴

გარდა ამისა, ორივე სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ვარგისია იმ სამართლის მიხედვით, რომელიც მხარეებმა აირჩიეს (შვეიცარიული სამართალი) და ასევე გადაწყვეტილების მიმღები შვეიცარიელი არბიტრების კომპეტენციაც უდავოა. სასამართლოს ამით უნდოდა ხაზი გაესვა იმაზე, რომ სასამართლოს მხოლოდ მაშინ შეუძლია ხელახლა გამოიკვლიოს მტკიცებულებები, რომლებიც არის ახლად გამოვლენილი. შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულდა.²⁵

²² Westacre Investments Inc. v. Jugoimport – SDPR. Holding Co. Ltd, Arbitral Award, 1994.

²³ Swiss Federal Tribunal, Westacre Investments Inc v Jugoimport-SDRP Holding Company Ltd, 1996.

²⁴ The High Court of Appeal of England, Westacre Investments Inc v Jugoimport-SDRP Holding Company Ltd., APP.L.R. 05/12, 1999, para. 34.

²⁵ Swiss Federal Tribunal, Thomson-CSF v Frontier AG, 1997.

სასამართლო ჩარევის მინიმალური სტანდარტის მეორე შემთხვევა არის, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი შეცდომას უშვებს კანონის გამოყენებისას.²⁶ სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს საქმე *AJU v. AJT* არის მინიმალური სტანდარტით ჩარევის განსაკუთრებული ასპექტის ზუსტი მაგალითი. *AJU* და *AJT* შევიდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რომლის მიხედვითაც *AJU* იყო უფლებამოსილი გაემართა ყოველწლიური ჩოგბურთის შეჯიბრება ბანგკოკში ხუთი წლის განმავლობაში. დავა წარმოიშვა და *AJT*-მა დაიწყო საარბიტრაჟო წარმოება *AJU*-ს წინააღმდეგ. ამასობაში *AJU*-მ წარადგინა განცხადება თაღლითობის შესახებ ტაილანდის სპეციალურ ბრალმდებლის უწყებაში, რომლის მიხედვითაც ამტკიცებდა რომ *AJT*-მა გაყალბებული დოკუმენტით ვერ წარმოადგინა, რომ მათ უფლება ჰქონდათ შეჯიბრების მოწყობის. ტაილანდის სამართლის მიხედვით, თაღლითობა მიჩნეული არის კომპრომიტირებად დანაშაულად, მაშინ როცა დოკუმენტის გაყალბება ან გაყალბებული დოკუმენტის გამოყენება არ არის კომპრომიტირებადი. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებოდა მხოლოდ თაღლითობის მიმართ, ხოლო დოკუმენტის გაყალბება ვერ დაკვალიფიცირდებოდა სისხლის სამართლის საქმედ.

საქმის შესწავლის მიმდინარე ეტაპზე, მხარეებმა დადეს მორიგების აქტი, რომლის მიხედვითაც *AJT*-ის უნდა დაესრულებინა საარბიტრაჟო პროცედურა იმ შემთხვევაში, თუ *AJU* წარადგენდა იმის დასტურს, რომ დაიხვედა უკან, საქმეს შეწყვეტდა ან დაასრულებდა ყველა სისხლის სამართლის საქმეს, რომლებიც წარმოებდა ტაილანდში. *AJU*-ს ასევე მოეთხოვებოდა, რომ გადაეხადა მორიგების გადასახადი \$470,000 ამერიკული დოლარი. შესაბამისად, *AJU*-მ შეასრულა ყველა თავისი ვალდებულება მორიგების აქტის შესაბამისად. ამის შედეგად, ტაილანდის სახელისუფლებო ორგანოებმა შეწყვიტეს სისხლის სამართლის წარმოება თაღლითობაზე და არასაკმარისი მტკიცებულებების გამო სისხლის სამართლის დევნის დაწყების თაობაზე ბრძანება არ გამოიცა დოკუმენტის გაყალბების საფუძველით. მიუხედავად ამისა, *AJT*-მა უარი განაცხადა საარბიტრაჟო განხილვის დასრულებაზე. მან განაცხადა, რომ *AJU*-მ არ შეასრულა მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულებები მას შემდეგ, რაც წარმოება დოკუმენტის გაყალბებასთან დაკავშირებული ვალდებულებების თაობაზე შესაძლებელი იყო რომ განახლებულიყო დამატებითი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში.

AJU-მა წარუდგინა საარბიტრაჟო ტრიბუნალს განცხადება საარბიტრაჟო წარმოების დასრულების თაობაზე იმ საფუძველით, რომ მხარეებმა მიაღწიონ საბოლოო შეთანხმებას. *AJT*-მა, მეორე მხრივ, წარადგინა პრეტენზია, რომ შეთანხმება იყო იურიდიულად ძალადაკარგული იძულების, გადაჭარბებული გავლენისა და არაკანონიერების საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღებისას, არბიტრებმა გაითვალისწინეს ის, რომ ორივე მხარეთა პოზიციები იყო მრჩევლების გათვალისწინებით წარდგენილი. შესაბამისად, *AJT*-ს უნდა სცოდნოდა იმ ფაქტის შესახებ, რომ სისხლის სამართლის წარმოების შეწყვეტა დოკუმენტის გაყალბების თაობაზე კვლავ იყო სახელმწიფო ბრალმდებლის ხელთ და რომ წარმოების შეჩერება არ იყო გამომდინარე დასრულების გარანტია. ტრიბუნალმა ასევე დაადგინა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება იყო ნამდვილი და შესაბამისად უარყო ორივე პრეტენზია და გამოიტანა შუალედური გადაწყვეტილება საარბიტრაჟო წარმოების დასრულების თაობაზე.

AJT-მა მიმართა უმაღლეს სასამართლოს შუალედური გადაწყვეტილების გასაუქმებლად საჯარო წესრიგის საფუძველით. ის ამტკიცებდა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება იყო არაკანონიერი მას შემდეგ, რაც ის დაიდო მხოლოდ ერთი მიზნით, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ჩასახშობად დოკუმენტის გაყალბების თაობაზე და რომ კორუფცია იყო გარეული სისხლის სამართლის დევნის დაწყების თაობაზე ბრძანების არ გამოსაცემად. სასამარ-

²⁶ *Doraisamy R., AJU v. AJT: Drawing the Line for Judicial Intervention in Arbitral Awards, official legal opinion on AJU v. AJT case of DueanneMoriss & Selvam LLP (law firm), 2012, 3.*

თლომ უარყო უკანასკნელი საფუძველი და მაინც დაეთანხმა უწინდელს და ამიტომაც საარბიტრაჟო ტრიბუნალის კვლევის შედეგები ხელახლა გამოიკვლია საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის თაობაზე. მტკიცებულებების ისე შეფასების შემდეგ სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება იყო არაკანონიერი გამოსაყენებელი სამართლის (სინგაპურის სამართალი) მიხედვით და ვალდებულების შესრულების ადგილის სამართლის მიხედვით (ტაილანდის სამართალი) და შესაბამისად გააუქმა შუალედური გადაწყვეტილება.

საქმის სააპელაციო ეტაპზე განხილვისას, საკვანძო საკითხებს წარმოადგენდა ის, თუ წინა ინსტანციის სასამართლო იყო თუ არა სწორი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების ხელახლა გამოკვლევასა და მოსამართლე სწორად მივიდა თუ არა იმ დასკვნამდე, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება იყო არაკანონიერი.

სასამართლომ განიხილა ორი ერთმანეთის სანინალმდეგო მიდგომა ინგლისის პრეცედენტული სამართლის მიხედვით: ერთი მხრივ, „ნაკლები დოზით ჩარევა“, რომელიც გამოიყენეს *Westacre*-ს საქმეში და, მეორე მხრივ, „მეტი დოზით ჩარევა“, რომელიც გამოიყენეს საქმეში *Soleimany v. Soleimany*, რომლის დროსაც მიმართეს ჩარევის ორ-ეტაპიან მეთოდს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპის გათვალისწინებით სასამართლომ ამჯობინა *Westacre*-ს საქმეში გამოყენებული მიდგომა და დაასკვნა, რომ წინა ინსტანციის სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, რომ გამოეკვლია ხელახლა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ ან უკვე გამოკვლეული მტკიცებულებები. სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ შემდგომ აღნიშნა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განიხილა ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი და ამიტომ სასამართლოს არ შეეძლო ხელახლა გამოეკვლია ან შეეცვალა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებები. სასამართლოს ჰქონდა მხოლოდ იმის უფლება, რომ გაეკეთებინა ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც შეცდომა არის დაშვებული კანონის გამოყენებისას.

ამგვარად, სირთულეს წარმოადგენს განსხვავების განსაზღვრა ფაქტის დადგენასა და გამოსაყენებელი კანონის შეფასებას შორის. ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ სამართლის საკითხზე დასკვნისას განმარტა, თუ რას გულისხმობს შეცდომა კანონის გამოყენებისას. თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი აღმოაჩინა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება იყო არაკანონიერი გამოსაყენებელი სამართლის მიხედვით და მიუხედავად ამისა გადაწყვეტს, რომ შესაძლებელია მისი აღსრულება სინგაპურში ხელშეკრულების შესრულების საფუძველზე, რომელიც იყო არაკანონიერი გამოსაყენებელი სამართლის მიხედვით, რაც არ ეწინააღმდეგება სინგაპურის საჯარო წესრიგს, ეს იქნება ფაქტის დადგენა. ამგვარად, ამ სცენარის მიხედვით სასამართლოს ჰქონდა იმის უფლება, რომ ჩარეულიყო და ხელახლა გამოეკვლია საარბიტრაჟო ტრიბუნალის მტკიცებულებები შეცდომით გამოყენებული კანონის გამოსწორების მიზნით.²⁷ მიმდინარე განხილვიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეორე შეზღუდვა ჩარევის მინიმალური სტანდარტის მიდგომასთან დაკავშირებით არის კანონში შეცდომა, რაც ამ მაგალითიდან შესაძლებელია განისაზღვროს, როგორც სინამდვილის არასწორად დადგენა ან საარბიტრაჟო დავის განხილვის ადგილის საჯარო წესრიგის არასწორი განმარტება.²⁸

ამის სანინალმდეგოდ, ხელშეკრულების მიჩნევა არაკანონიერად წარმოადგენს ფაქტის დადგენას, რომელიც არ არის საკმარისი საფუძველი ჩარევისთვის, თუ არ იქნება „თაღლითობა, ვალდებულების დარღვევა ბუნებრივი სამართლიანობის ან რაიმე სხვა აღიარებული უარყოფითი ფაქტორებისგან“.²⁹

მინიმალური სტანდარტის გამოყენებით ჩარევის მესამე შეზღუდვას წარმოადგენს ის ზემოთ აღნიშნული ფაქტორები, რომლებიც განიხილება საქმეში *Thomson-CSF v Frontier AG*,

²⁷ *Doraisamy R., AJU v. AJT: Drawing the Line for Judicial Intervention in Arbitral Awards*, official legal opinion on *AJU v. AJT* case of DueanneMoriss & Selvam LLP (law firm), 2012, 4.

²⁸ *Hwang M., Lin K., Corruption in Arbitration: Law and Reality*, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 55.

²⁹ The Singapore Court of Appeal, *SGCA 41, AJU v AJT*, 2011, para. 65.

როდესაც ეს საქმე Thomson-CFS-ის სარჩელზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე უარის თქმის შემდეგ, მეორედ მივიდა შვეიცარიის ფედერალურ ტრიბუნალამდე. შედავება დაფუძნებული იყო ფრანგი ექსპერტების მიერ გამოკვლევულ მტკიცებულებებზე, რომლებმაც გამოაშკარავე, რომ საშუამავლო ხელშეკრულების ნამდვილი ობიექტი იყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრზე ზეგავლენის მოხდენა იმისათვის, რათა განმეორებით განეხილათ მისი განცხადებები ვაჭრობასთან დაკავშირებით.³⁰ ბატონმა Kwan-მა (შუამავალი) დამალა Frontier AG-ის კომპანიონების მიერ ნახელმღვანელები თაღლითური მაქინაცია. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, Frontier AG აცხადებდა, რომ ბატონი Kwan მოქმედებდა იმისთვის, რომ უარყო ჩინელი მაღალჩინოსნების შუამდგომლობები კანონიერი გზით. ამგვარად, გახდა ნათელი, რომ Frontier AG-მა ჩაიდინა თაღლითობა საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე მტკიცებულების წარდგენისას. სასამართლომ დაადგინა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალი შეცდომაში შეიყვანა პროცედურულმა სიცრუემ, რომელსაც შესაბამისად ჰქონდა პირდაპირი გავლენა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე. ამის შედეგად, შვეიცარიის ფედერალურმა ტრიბუნალმა გააუქმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და საქმე გადასცა განსახილველად პირველად საარბიტრაჟო ტრიბუნალს.

2.1.2 მაქსიმალური სტანდარტი

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მაქსიმალური ჩარევის სტანდარტის გამოყენება შესაძლებელია განისაზღვროს, როგორც სრული შესწავლა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ტრიბუნალის მიერ გამოკვლევული მტკიცებულებების ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონის გამოყენებისა.³¹ მთავარი საფუძველი სასამართლოების მიერ ამ მიდგომის გამოყენებისას არის ის, რომ დაიცვან მთავარი ნაციონალური ფასეულობები და ინტერესები, რომლებიც ასახვას ჰპოვებს საჯარო წესრიგში.

პირველი მთავარი მიდგომა მაქსიმალური სტანდარტის გამოყენებით საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ჩარევისა არის ის, რომ მტკიცებულებები შესაძლებელია გამოკვლევულ იქნას ახლიდან.

სასამართლოს აქვს თავისუფლება რომ შეაფასოს ხელახლა მტკიცებულებების ფაქტობრივი გარემოებები და ხელახლა შეამოწმოს არამართო კანონის არასწორი გამოყენება, არამედ კანონის არასწორი განმარტება.³² მეორე, სასამართლომ შესაძლებელია მიიჩნიოს, რომ მტკიცებულება რომელიც იყო ხელმისაწვდომი საარბიტრაჟო წარმოებისას, მაგრამ არ იყო წარდგენილი ტრიბუნალის წინაშე მოდავე მხარის მიერ.³³ მესამე, სასამართლოს აქვს „სრული კონტროლი“ ყველა განცხადებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების გადახედვისა იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი უარყოფილ იქნა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ.³⁴ რამდენიმე საქმე იქნება განხილული ქვემოთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ჩარევისას მაქსიმალური სტანდარტის გამოყენების განსაკუთრებული ასპექტების უკეთ ნათელსაყოფად.

³⁰ აღნიშნული კვლევები დასრულდა მას შემდეგ, რაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაასაჩივრეს შვეიცარიის ფედერალურ ტრიბუნალში.

³¹ *Sayed A.*, *Corruption in International Trade and Commercial Arbitration*, Kluwer Law International, Hague, 2004, 24.

³² იქვე, 407-408.

³³ *Enochong N.*, *The Enforcement of Foreign Arbitral Awards based on Illegal Contracts*, in: *Lloyd's Maritime and Commercial Law Quarterly* 2000, Vol.20, Issue 4, LLP Professional Publishing, Vancouver, 2000, 514.

³⁴ *Sayed A.*, *Corruption in International Trade and Commercial Arbitration*, Kluwer Law International, Hague, 2004, 408-409.

თავდაპირველად, ჩვენ განვიხილავთ ან უკვე კარგად ცნობილ საქმეს *Thomson-CSF v Frontier AG*, რომელიც აღსრულების ეტაპზე იყო ასევე განხილული საფრანგეთში პარიზის სააპელაციო სასამართლოს მიერ.³⁵ *Frontier AG*-მა წარადგინა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საფრანგეთში აღსრულებლად მას შემდეგ, რაც შვეიცარიის ფედერალურმა ტრიბუნალმა უარყო *Thomson-CSF*-ის შუამდგომლობა, რომ გაეუქმებინა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.³⁶ პარიზის პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოსცა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სააღსრულებო ბრძანება, რომელიც გაასაჩივრა *Thomson-CSF*-მა პარიზის სააპელაციო სასამართლოში.

Thomson-CSF ამტკიცებდა, რომ *Frontier AG*-ის მიერ საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე წარდგენილი მტკიცებულება იყო თაღლითური და ყალბი, რაც ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს და ამის საფუძველზე წარადგინა სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე იმის მოთხოვნით, რომ გამოეძიებინათ თაღლითური მაქინაცია რომელშიც *Frontier AG*-ის კომპანიონები მონაწილეობდნენ. მომჩივანი ასევე მოითხოვდა, რომ შეეჩერებინათ წარმოება სანამ არ იქნებოდა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დასრულებული.³⁷ პარიზის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და გამოსცა ბრძანება შეეჩერებინათ წარმოება დაუყოვნებლივ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დაწყებისას (თაღლითური მაქინაციის გახსნამდე), რომელიც მიზანმიმართული იყო თაღლითობის გამოსააშკარავებლად. ეს არ ნიშნავდა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებების ფაქტობრივ გარემოებებში ჩარევას მინიმალური სტანდარტის გამოყენებით. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების უარყოფა საერთაშორისო საჯარო წესრიგის საფუძველით სასამართლოს ანიჭებდა უფლებამოსილებას საარბიტრაჟო ტრიბუნალის კვლევის შედეგების ყოველმხრივ გამოკვლევას, იმის მიუხედავად წარადგენდა თუ არა აპელანტი თაღლითობის დამამტკიცებელ მტკიცებულებას.³⁸ სასამართლომ თავის არგუმენტაციაში რამდენჯერმე ხაზი გაუსვა საჯარო წესრიგის მნიშვნელობის ღირებულებებს და გადაწყვიტა, რომ არბიტრებს უნდა ჰქონოდათ „შესაძლებლობა შეეფასებინათ ფაქტობრივი გარემოებები და კანონის შერჩევის ყველა ელემენტი, რაც ნებას რთავდა განსაკუთრებით გაემართლებინათ განცხადება საერთაშორისო საჯარო სამართლის წესთან მიმართებით და დასაბუთებით განესაზღვრათ ხელშეკრულების კანონიერების ზომა“.³⁹

სასამართლომ გამოიტანა იგივე დასაბუთება საქმეზე *Alsthom v Westman*⁴⁰, სადაც მხარეები შევიდნენ საშუამავლო ხელშეკრულებაში, რომლის მიხედვითაც *Westman*-ს ხელი უნდა შეეწყო *Alsthom*-ის გაზის ტურბინებისთვის სააუქციონო პროცესისთვის დასახმარებლად წინასწარი კვალიფიციურობის სტატუსის მისაღებად უდავო ნავთობქიმიური პროექტებისთვის ერაყში, ირანში. წინასწარი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ *Westman*-მა მოითხოვა მომსახურების გადასახადი, მაგრამ *Alsthom*-მა უარყო მისი გადახდა. შედეგად, *Westman*-მა მიმართა საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟს. საარბიტრაჟო პროცესის ზეპირი მოსმენისას *Alsthom* ამტკიცებდა, რომ საშუამავლო ხელშეკრულება იყო უკანონო თავისი განზრახვებითა და მიზნებით იმის გათვალისწინებით, რომ უპირველესი მიზანი ამ ხელშეკრულებისა იყო მაღალჩინოსნებისთვის ქრთამის მიცემა. მიუხედავად ამისა, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიიღო

³⁵ Paris Court of Appeal, *Thomson-CSF v. Frontier AG*, 1998.

³⁶ მიუხედავად ზემოთ განხილულისა, ეს გადაწყვეტილება წარმატებით გაბათილდა შვეიცარიის ფედერალურ ტრიბუნალში მეორედ გასაჩივრებისას (იხ. *ქვეთავი 1.1.1*).

³⁷ *Nicholls C., Timothy D., Bacarese A., Hatchard J*, *Corruption and Misuses of Public Office*, 2. edition, Oxford University Press, Oxford, 2011, 310 – 311.

³⁸ *Sayed A.*, *Corruption in International Trade and Commercial Arbitration*, Kluwer Law International, Hague, 2004, 60.

³⁹ Paris Court of Appeal, *Thomson-CSF v. Frontier AG*, 1999.

⁴⁰ Paris Court of Appeal, *Alsthom Gas Turbines SA v Westman International Ltd*, 1993.

გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულება საშუამავლო ხელშეკრულების უკანონობის დასამტკიცებლად და მიიღო გადაწყვეტილება, რაც ავალბებულა Alsthom-ს გადაეხადა მომსახურების გადასახადი.⁴¹

Alsthom-მა, შეიცვალა თავისი სახელი და იწოდება European Gas Turbines (გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად გამოყენებული იქნება კვლავ როგორც Alsthom), მოითხოვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება პარიზის სააპელაციო სასამართლოს წინაშე. ის ამტკიცებდა, რომ გადაწყვეტილების აღსრულება ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს ორი საფუძვლით: პირველი, გადაწყვეტილება აღსრულებდა იმ ხელშეკრულებას, რომელიც გაუქმებული და გაბათილებული იყო მას შემდეგ, რაც მისი მთავარი მიზანი იყო გადაზიდვები ზემოქმედებისა და ქრთამის საფუძველზე; მეორე, იმიტომ რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება დაფუძნებული იყო გასავლის ხარჯების ყალბ ანგარიშზე, რომელიც Westman-მა წარუდგინა არბიტრაჟს. პოზიციის დასამტკიცებლად, Alsthom-მა წარადგინა ახალი მტკიცებულებები, რომლებიც შესაძლებელი იყო მოეპოვებინათ საარბიტრაჟო წარმოების დროს, მაგრამ არ იყო წარდგენილი ტრიბუნალის წინაშე. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ წარმოდგენილი მტკიცებულება არ იყო საკმარისი ხელშეკრულების კორუფციული ბუნების დასადგენად, და გადაწყვიტა რომ მეორე საფუძველი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაუქმებლად იყო საფუძვლიანი. შესაბამისად, პარიზის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საჯარო წესრიგის საფუძვლით.⁴²

ამგვარად, ამ საქმეში სასამართლომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის კვლევის შედეგები ხელახლა გადასინჯა. მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ უნდა განეხილათ ძირითადი ხელშეკრულების არაკანონიერების საკითხი, რომელიც უკვე განხილული იყო საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ. მათ აგრეთვე მიიღეს ახალი, მაგრამ არა ახლად გამოვლენილი მტკიცებულება, რომელიც შესაძლებელი იყო წარდგენილიყო საარბიტრაჟო პროცესის წარმოებისას.

წინამდებარე ანალიზი ააშკარავებს, რომ სასამართლოები მაქსიმალური სტანდარტის გამოყენებისას ნაკლებად არიან იძულებული მოქმედებისგან თავი შეიკავონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპის დასაცავად და არის უფრო მეტად „მზრუნველი ნაციონალური ფასეულობებისა და პოლიტიკის დასაცავად“.⁴³

ჩარევის მაქსიმალური სტანდარტი გაზიარებულია მრავალი ევროპული სასამართლოს მიერ, როგორც არის, მაგალითად, ბრიუსელის სააპელაციო სასამართლო, ჰააგის სააპელაციო სასამართლო, დიუსელდორფის ზემდგომი სასამართლო⁴⁴ და გერმანიის ფედერალური სასამართლო.⁴⁵ ყველა მათგანი თვლის, რომ მათ აქვთ უფლებამოსილება სასამართლო წესით შეუზღუდავად ჩაერიონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში.

მიუხედავად ამისა, ბოლოდროინდელმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ევროპული სასამართლოების მიდგომა ჩარევის მაქსიმალურ სტანდარტთან მიმართებით ოდნავ შეიცვალა. ქვემოთ იქნება განხილული რამდენიმე საქმე, სადაც სასამართლოები, რომლებიც მიმართავენ ჩარევის მაქსიმალურ სტანდარტს, უარყვეს, გამოიყენონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების „ტოტალური კონტროლი“ და შესაბამისად არ მოქმედებენ *de novo*-ს პრინციპით, ანუ რომ გა-

⁴¹ Timothy M., An International Arbitration and Corruption: Evolving Standard, in: Transnational Dispute Management 2004, Vol. 1, Issue 2, 38.

⁴² Hanotiau B., Satisfying the Burden of Proof: The Viewpoint of a Civil Law Lawyer, in: Arbitration International 1994, Vol. 10, Issue 3, Oxford University Press, Oxford, 1994, 268-269.

⁴³ Sayed A., Corruption in International Trade and Commercial Arbitration, Kluwer Law International, Hague, 2004, 393.

⁴⁴ Hwang M., Lin K., Corruption in Arbitration: Law and Reality, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 61.

⁴⁵ Harbst R., Korruption und Andere Ordre Public-Verstöße als Einwände im Schiedsverfahren - Inwieweit Sind Staatliche Gerichte an Sachverhaltsfeststellungen des Schiedsgerichts Gebunden, Zeitschrift für Schiedsverfahren 2007, Vol. 17, Issue 1, Deutsche Institution für Schiedsgerichtsbarkeit, Frankfurt, 26.

მოიკვლიონ ხელახლა საარბიტრაჟო ტრიბუნალის კვლევის შედეგების ფაქტობრივი გარემოებები და კანონის შერჩევის სისწორე ხელახლა. ამის საილუსტრაციოდ დავუბრუნდეთ საქმეს *Thomson-CSF v Frontier AG case* (რომელიც შეჩერდა 1999 წელს), რომლის საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოიტანეს 2010 წელს. მიუხედავად საშუამავლო ხელშეკრულების კორუფციული მიზნის გამომჟღავნებისა და ყალბი მტკიცებულების წარდგენისა *Frontier AG*-მა ისევ დაინო საქმის წარმოება და ცდილობდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას იმის საფუძველზე, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპი უპირატესია საჯარო წესრიგის ღირებულებებთან შედარებით. სასამართლომ უარყო ეს არგუმენტი და უარი თქვა მის აღსრულებაზე. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გადაწყვეტილება მიიღო საპროცესო თაღლითობის საფუძველზე.⁴⁶

ამგვარად, ამ საქმეში, მიუხედავად ახალი მტკიცებულების მიღებისა, სასამართლომ მიმართა მინიმალურ სტანდარტს მას შემდეგ, რაც ყალბი მტკიცებულების არსებობა მიიჩნია, როგორც მინიმალური სტანდარტის ფარგლებში განსახილველი გარემოება.

გარდა ამისა, პარიზის სააპელაციო სასამართლოს დამოკიდებულება, რომ ეხელმძღვანელებს *de novo*-ს პრინციპით ხედავს უკან თავის გადაწყვეტილებას საქმეზე *SA Thales Air Défense v. Euromissile case*⁴⁷, სადაც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საჯარო წესრიგის საფუძველზე იმ დასაბუთებით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესაძლებელია გადაიხედოს *de novo* და ამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება „დაარღვევს საფრანგეთის კანონიერ ბრძანებას „მიუღებელი ქმედებით“, როგორც არის ძირითადი კანონისა ან ფუნდამენტური პრინციპების აშკარა დარღვევა“.⁴⁸ შესაბამისად, საფრანგეთში აღარ გაგრძელდება ერთსულოვანი მიდგომა მაქსიმალურ სტანდარტთან დაკავშირებით.

მსგავსად, გერმანიის სასამართლოები რამდენიმე საქმეში წინააღმდეგი იყვნენ იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ჩარევისას გამოეყენებინათ მაქსიმალური სტანდარტი. ჰამბურგის რეგიონალურ უმაღლეს სასამართლოში მომჩივანი მხარე უარყოფდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას, რომელიც მიიღეს შვეიცარიულ არბიტრაჟოში, იმ საფუძველით რომ ხელშეკრულების თანახმად გადასახდელი თანხა იყო ქრთამი და არა მომსახურების შესრულებისთვის გადახდილი თანხა. მიუხედავად ამისა, ჰამბურგის რეგიონულმა უმაღლესმა სასამართლომ აღიარა სასამართლოს უფლება, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ჩარევა იყო შეზღუდული საპროცესო შეცდომებთან მიმართებით და ამგვარად იყო დაუშვებელი ხელახლა გამოეკვლიათ საარბიტრაჟო ტრიბუნალის კვლევის შედეგები.⁴⁹

იგივე მიდგომა დაფიქსირდა ბავარიის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს მიერ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ ზოგადად არის აკრძალული სასამართლოსთვის შეცვალოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მტკიცებულება თავისი მტკიცებულებით და ხაზი გაუსვა არბიტრაჟის დამოუკიდებლობასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპს.⁵⁰

ამგვარად, სასამართლოების მიდგომა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ჩარევისასთან დაკავშირებით შესაძლებელია იყო სხვადასხვა მიუხედავად იმისა, რომ მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე იურისდიქციას.

⁴⁶ *Hwang M., Lin K., Corruption in Arbitration: Law and Reality*, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 62.

⁴⁷ Paris Court of Appeal, No. 2002/60932, *SA Thales Air Défense v. Euromissile*, 2002.

⁴⁸ *Gaillard E., Extent of Court Review of Public Policy*, in: *New York Law Journal*, Oxford University Press 1994, ALM, New York City, 2007, 3.

⁴⁹ High Regional Court of Hamburg, 6 U 110/97, 1998.

⁵⁰ High Regional Court of Bavaria, 4Z Sch 23/02, 2003.

2.1.3. შუალედური სტანდარტი

საჯარო წესრიგის მნიშვნელობის ბალანსის დასაცავად – საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესანარჩუნებლად, ერთი მხრივ, და საერთაშორისო ვაჭრობაში კორუფციის აღსაკვეთად, მეორე მხრივ – სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ კონტექსტუალური სტანდარტით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას. კონტექსტუალური გადასინჯვა არის გადაწყვეტილების შემონმების ორსაფეხურიანი მეთოდი.⁵¹

ორსაფეხურიანი სისტემის წამყვანი ნიმუში შემოთავაზებულია საქმეში *Soleimany v. Soleimany*, სადაც ინგლისურმა სასამართლომ აღსრულების ეტაპზე Beth Din-ის მიერ მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სიღრმისეულად გამოიკვლია და მიიჩნია, განხილული საკითხები კორუფციად და ძირითადი ხელშეკრულება არაკანონიერად. საინტერესოა, Waller L.J.⁵²-ის მიერ გამოთქმული მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით, სადაც ის განმარტავდა, თუ როგორ უნდა შეისწავლოს სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რამაც ვერ დაადგინა მხარეთა წინამდებარე ხელშეკრულების უკანონობა. სასამართლომ დააფიქსირა მოსაზრება *obiter dictum* და აღნიშნა, რომ საჯარო წესრიგის დასაცავად ორსაფეხურიანი სისტემა უნდა გამოყენებულიყო. *პირველ ეტაპზე, სასამართლოს უნდა განესაზღვრა მომჩივანი მხარე უზრუნველყოფდა თუა რა prima facie მტკიცებულების წარდგენას ხელშეკრულების უკანონობასთან - დაკავშირებით და შემდეგ უნდა ეხელმძღვანელათ წინასწარი გამოძიებით (გამოძიება მთლიანი მასშტაბით) იმისათვის, რომ დაენახათ იყო თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სანდო.*⁵³

Waller L.J.-მა აღნიშნა, რომ არ იყო საჭირო საქმის ძირეული გამოკვლევა პირველივე ეტაპზე, რადგან სასამართლო თავიდანვე ძირეულ გამოკვლევაზე რომ გადავიდეს, „მაშინ წარმოიშვება იმ ზიანის საფრთხე, რომლის აცილებისკენაც არის მიმართული არბიტრაჟი“.⁵⁴ მას შემდეგ რაც სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ არის სანდო, შემდეგ სრული მასშტაბით არაკანონიერების საკითხის გამოძიება იქნება *მეორე ეტაპზე*.⁵⁵

Westacre-ს საქმეს შეუძლია იმის ილუსტრირება, თუ რომელი ფაქტორები უნდა განიხილონ პირველ ეტაპზე იმისათვის, რომ განსაზღვრონ არის თუ არა აუცილებელი მეორე საფეხურის მოთხოვნის გამოყენება (მეორე საფეხურზე დგინდება საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერება-უკანონობის საკითხი). Sayed ასახელებს შემდეგ ფაქტორებს:

- 1) გამოსადეგი მტკიცებულება კანონიერების და უკანონობის დასადგენად;
- 2) რა გზით მიაღწია არბიტრმა უკანონო გადაწყვეტილებას;
- 3) არბიტრების კომპეტენციის ხარისხი;

4) რითი ხელმძღვანელობდნენ არბიტრები. სიფრთხილის გათვალისწინებით დადგინდება გადაწყვეტილება მიღებულია თუ არა თაღლითობის, სასამართლოს მოტყუების საშუალებით თუ იურიდიულად დაუსაბუთებელი რწმენით.⁵⁶

მიუხედავად ამისა, მოსამართლე Waller-მა Westacre-ს საქმეში განავითარა ორსაფეხურიანი სისტემა და დაასაბუთა, რომ უკანონობის ხასიათი შესაძლებელია განხილულიყო პირველ ეტაპზეც. მიუხედავად ამისა, სხვა მოსამართლეები ფიქრობენ, რომ უკანონობის გა-

⁵¹ *Leong C.Y.*, Commentary on *AJT v. AJU*, Singapore International Arbitration Centre, 2010, 4.

⁵² ის იყო აგრეთვე განსაკუთრებული აზრის განმცხადებელი მოსამართლე ინგლისის უმაღლესი საპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე *Westacre*.

⁵³ *Enonchong N.*, The Enforcement of Foreign Arbitral Awards based on Illegal Contracts, in: *Lloyd's Maritime and Commercial Law Quarterly* 2000, Vol.20, Issue 4, LLP Professional Publishing, Vancouver, 2000, 506.

⁵⁴ Court of Appeal of England, 97/0882 CMSI, *Sion Soleimany v. Abner Soleimany*, 1999, para. 824.

⁵⁵ *Leong C.Y.*, Commentary on *AJT v. AJU*, Singapore International Arbitration Centre, 2010, 3.

⁵⁶ *Sayed A.*, *Corruption in International Trade and Commercial Arbitration*, Kluwer Law International, Hague, 2004, 15.

მოვლენა შესაძლებელია მხოლოდ მეორე ეტაპზე. საბოლოოდ მოსამართლეები მივიდნენ შემდეგ დაკვნამდე:

პირველი, საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე პირდაპირ იყო წარდგენილი, რომ ეს იყო კომერციული ხელშეკრულება. მეორე, არბიტრებმა ნათლად გამოხატეს, რომ ხელშეკრულება არ იყო არაკანონიერი. მესამე, არბიტრთა არაკომპეტენტურობის საკითხი ეჭვს არ იწვევს. საბოლოოდ, არ არის საფუძველი იმისა, რომ ივარაუდებოდეს რაიმე არაკანონიერი საფუძველი გადანყვეტილების მიღებისას.⁵⁷

შესაბამისად, უმრავლესობა აღნიშნავდა საქმეზე *Westacre*, რომ არ არსებობდა იმის აუცილებლობა, რომ ეწარმოებნათ გამოძიება სრული მასშტაბით მეორე საფეხურზე, მაშინაც კი თუ ორსაფეხურიანი სისტემა მოერგებოდა ამ საქმეს.

მოსამართლე Waller L.J.-მა განმარტა, რომ ხელშეკრულების არაკანონიერების საკითხის გადანყვეტისას (ორივე ეტაპზე) სასამართლოს ჰქონდა თავისუფლება, რომ განეხილა არა მხოლოდ ახლად გამოვლენილი გარემოება, არამედ მანამდე არსებული მტკიცებულებაც; ისინიც კი, რომლებიც საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე იყო წარდგენილი. ამგვარი ფართო უფლებამოსილება ყველა სახის მტკიცებულებაზე მიანიშნებს ჩარევის მაქსიმალურ სტანდარტზე (სასამართლოს მიერ ჩარევას ფაქტებთან და სამართალთან მიმართებით). პირველ ეტაპზე არ ხდება მტკიცებულებების სრულფასოვნად გამოკვლევა, რაც გულისხმობს ტრიბუნალის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებების გათვალისწინებას მინიმალური სტანდარტის შესაბამისად.⁵⁸ ამგვარად, კონტექსტუალური ჩარევის სტანდარტი იკავებს შუალედურ პოზიციას მინიმალურსა და მაქსიმალური ჩარევის ფარგლებს შორის.

2.2. შეხედულებები სტანდარტების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით

მნიშვნელოვანი საკითხია იმის განსაზღვრა, თუ რომელი ზემოთ აღნიშნული მიდგომა არის უკეთესი საჯარო წესრიგის ორი მნიშვნელოვანი ასპექტის – საერთაშორისო საარბიტრაჟო გადანყვეტილების საბოლოობის პრინციპის დაცვა და საერთაშორისო ვაჭრობაში კორუფციის აღკვეთა – ბალანსის დასაცავად.

უპირველესად, დავინყებთ განხილვას ჩარევის მინიმალური სტანდარტით, რომელიც იმსახურებს დიდ პატივისცემას საერთაშორისო არბიტრაჟში და საარბიტრაჟო გადანყვეტილების საბოლოობის პრინციპის დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადანყვეტილების საბოლოობის პრინციპის დაცვით მრავალი საკითხის პატივისცემა ხდება და შესაბამისად აქვს მრავალი უპირატესობა, არ არის საკამათო, რომ, მეორე მხრივ, ჩარევის მინიმალური სტანდარტი უარყოფს საჯარო წესრიგის სხვა ფუნდამენტურ პრინციპებს, მაგალითად, საჯარო წესრიგს ეწინააღმდეგება კორუფციული გარიგებების შედეგად დადებული ხელშეკრულებები. მინიმალური სტანდარტის სისუსტეების წარმოსაჩენად, შევხებით ან უკვე განხილულ საქმეს *Thomson-CSF v Frontier AG*. მაგალითად, თუ ფრანგული ან შვეიცარიული სასამართლო აღასრულებდა საარბიტრაჟო გადანყვეტილებას Thomson-CSF-ის წინააღმდეგ და სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დასრულებამდე (როგორც უკვე ვიცით გამოძიებამ გამოააშკარავა კორუფციის არსებობასთან დაკავშირებული მტკიცებულებები), Frontier AG გახდებოდა გადახდისუუნარო, რის შემდეგ საარბიტრაჟო გადანყვეტილების აღსრულება იქნებოდა გაუმართლებელი და შესაბამისად საფრანგეთისა და შვეიცარიის საჯარო წესრი-

⁵⁷ The High Court of Appeal of England, *Westacre Investments Inc v. Jugoinport-SDRP Holding Company Ltd.*, APP.L.R. 05/12, 1999, para. 71.

⁵⁸ *Hwang M., Lin K.*, *Corruption in Arbitration: Law and Reality*, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 66.

გის წინააღმდეგ მიმართული. გარდა ამისა, მასთან დაკავშირებული შედეგები იქნებოდა გაუ-
უქმებადი, მას შემდეგ რაც გახდებოდა შეუძლებელი ორივე სახელმწიფოს საჯარო წესრიგის
ფუნდამენტური პრინციპებისთვის მიყენებული ზიანის გამოსწორება.⁵⁹

შესაბამისად, მინიმალური სტანდარტის მიდგომის გამოყენებით მხარე, რომელმაც მექ-
რთამეობით მოახერხა ხელშეკრულების დადება, უმეტეს შემთხვევაში (მინიმალური სტან-
დარტის შეზღუდვის საგანი) ექნება შესაძლებლობა, რომ აღასრულოს კორუფციის შემცველი
საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

ამის საპირისპიროდ, მაქსიმალური სტანდარტი უარყოფს საჯარო წესრიგის მიზნებს
საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპის დასაცავად. სწორად არის დასაბუ-
თებული, რომ არბიტრაჟმა არ შეიძლება „გვერდი აუაროს საჯარო წესრიგის პრინციპებს“.⁶⁰
შესაბამისად, კონტექსტუალური გადასინჯვა რომელიც იკავებს შუალედურ პოზიციას მინი-
მალურსა და მაქსიმალური ჩარევის სტანდარტებს შორის იქნება ხელსაყრელი გამოსავალი
ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ასპექტის ბალანსის შესანარჩუნებლად. ქვემოთ იქნება მოკ-
ლედ განხილული არის თუ არა აღნიშნული მოსაზრება გამოსადეგი.

თუ სასამართლო გამოიყენებდა ჩარევის შუალედურ სტანდარტს საქმეში *Thomson-CSF
v Frontier AG* და თუ საშუამავლო ხელშეკრულებაში კორუფცია იქნებოდა გარეული, ეს მაინც
გამოვლინდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქმის გამოკვლევა პირველ ეტაპზე ნაკარნახევი
არის ძირეული საწყისებით, მიუხედავად ამისა ეს გამოააშკარავებდა კორუფციის რამდენი-
მე მნიშვნელოვან ნიშანს. გარდა ამისა, იმის ალბათობა რომ კორუფციის არსებობის გამოვ-
ლენა იზრდება შემონმების მეორე ეტაპზე, რომელიც შემოთავაზებული არის Waller L.J.-ის
მიერ საქმეში *Westacre*, გავლენას იქონიებს, მას შემდეგ რაც პირველ ეტაპზე შეფასდება
„უკანონობის ბუნება“, ეს იქნება იმის გამომწვევი, რომ მეორე ეტაპზე სასამართლომ გულ-
მოდგინედ გამოიკვლიოს საქმის მტკიცებულებები. ამგვარად, აშკარაა რომ ჩარევის შუალე-
დური სტანდარტით არის უფრო დიდი შანსი იმისა, რომ გამოირკვეს კორუფციის არსებობა
ან ხვა უკანონობა ვიდრე მინიმალური სტანდარტის გამოყენებით.

მეორე მხრივ, შუალედური სტანდარტის პირველი ეტაპი სავარაუდოა, რომ დაიცავს სა-
ჯარო წესრიგის მიზნებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპთან მიმარ-
თებით, რადგან პირველ ეტაპზე არ ხდება მტკიცებულებების გამოკვლევა მომჩივანი მხარის
სასარგებლოდ. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აკლია სანდოობა
წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და არგუმენტაციის გამო, შემდეგ სასამართლო გამოიკ-
ვლევს სრულად საარბიტრაჟო ტრიბუნალის მტკიცებულებებს, რაც იქნება სანდო საარბიტ-
რაჟო გადაწყვეტილების სანდოარი.⁶¹

საბოლოოდ, განვიხილავ არის თუ არა ორსაფეხურიანი შემონმება უფრო ეფექტური,
რომელიც არის Waller L.J.-ის მიერ შემოთავაზებული საქმეში *Soleimany v. Soleimany* ან საქმეში
Westacre, სადაც მოსამართლემ განსაკუთრებული აზრი დააფიქსირა. კომენტატორები ფიქ-
რობენ, რომ ამ უკანასკნელს აქვს უპირატესობა.⁶² „არაკანონური ბუნების“ გამორიცხვა პირ-
ველ ეტაპზე ნიშნავს იმას, რომ თუ არბიტრაჟი იმოქმედებს „საერთაშორისო სავაჭრო
პალატის არბიტრების მაღალი სტანდარტის“ შესაბამისად⁶³ და არ არსებობს არბიტრების მი-
კერძობულობის ეჭვი, მაშინ სასამართლო არ გადავა მეორე საფეხურზე და შესაბამისად და-

⁵⁹ იქვე, 74.

⁶⁰ *Hanotiau B.*, Satisfying the Burden of Proof: The Viewpoint of a Civil Law Lawyer, in: *Arbitration International* 1994, Vol. 10, Issue 3, Oxford University Press, Oxford, 1994, 804.

⁶¹ *Hwang M., Lin K.*, Corruption in Arbitration: Law and Reality, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 76.

⁶² იქვე, 76-77.

⁶³ The High Court of Appeal of England, *Westacre Investments Inc v. Jugoimport-SDRP Holding Company Ltd.*, APP.L.R. 05/12, 1999, para. 70.

აკმაყოფილებს გადაწყვეტილებას მიუხედავად იმისა, თუ რა არაკანონიერების სერიოზულობის საკითხი. მაგალითად, საქმეში *Thomson-CSF v Frontier AG* მომჩივანი მხარე აცხადებდა, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გარეული იყო კორუფციულ მაქინაციაში, მაგრამ პირველ ეტაპზე შესწავლილი სხვა ფაქტორები იყო სწორად დაბალანსებული. თუ საქმეში *Soleimany v. Soleimany* გამოყენებული მიდგომა მორგებული იქნებოდა ამ სცენარზე, მაშინ სასამართლოს არ ექნებოდა იმის უფლება, რომ რომ სრულად შეესწავლა საქმე მეორე ეტაპზე და შედეგად, კორუფციის შემცველი ხელშეკრულება არ შესრულდებოდა.⁶⁴ ამის საპირისპიროდ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოოობის პრინციპის დასაცავად სასამართლომ უნდა აღასრულოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ პირველი ეტაპის შემდეგ დამდგარი ფაქტორები არის ზუსტად დაბალანსებული და არ არსებობს სერიოზული განცხადება არაკანონიერებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად ამისა, კომენტატორები აცხადებენ, რომ Waller L.J. შორს ნავიდა, როდესაც განაცხადა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე წარდგენილი მტკიცებულებაც არ უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ. Waller L.J.-ის ხედვა ამ შემთხვევაში არის ზედმეტად რადიკალური და არღვევს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოოობის პრინციპს.⁶⁵ პირიქით, უმრავლესობა საქმეზე Westacre მიიჩნევს, რომ მხოლოდ ახლად გამოვლენილი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში შეიძლება გამართლდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მტკიცებულებებში ჩარევა.⁶⁶ ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შუალედური მიდგომა, რაც ნებას რთავს სასამართლოებს ჩაერიონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში, სადაც არსებობს ახალი, მაგრამ არა აუცილებლად გამოვლენილი უფრო ახალი მტკიცებულება, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ყველაზე შესაბამის სტანდარტად აღნიშნული ორი ასპექტის ბალანსის დასაცავად.

3. სასამართლოს ჩარევის შესაძლო შემთხვევები

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შედეგით ერთ-ერთი მხარე თავისთავად ყოველთვის რჩება უკმაყოფილო.⁶⁷ საარბიტრაჟო მხარე ხშირად არ ეთანხმება მის წინააღმდეგ მიმართულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, არ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას და მის წინააღმდეგ მიმართულ გადაწყვეტილებას ამა თუ იმ საფუძვლით ასაჩივრებს სასამართლოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით. საერთაშორისო საარბიტრაჟო სამართალსა და ნაციონალურ საარბიტრაჟო კანონმდებლობაში არსებობს მრავალი საფუძველი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაუქმებლად. მოცემულ თავში განხილული იქნება ის მნიშვნელოვანი საფუძვლები, რომლებიც მოცემულია UNCITRAL-ის მოდელურ კანონში და ასევე გაზიარებულია არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით. კერძოდ, არბიტრთა მიკერძოებულობა, არბიტრთა მიერ საარბიტრაჟო მხარის მიერ საპროცესო უფლებების დარღვევა და არბიტრთა კომპეტენციის გარეთ არსებული საკითხის გადაწყვეტა. ამას გარდა მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს, შემთხვევა, როდესაც სასამართლო ერევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში, როცა ის გამოტანილია კორუფციული ან/და თალღითური გარიგებების საფუძველზე. მართალია, ეს უკანასკნელი საფუძველი არ არის გათვალისწინებული უშუალოდ UNCITRAL-ის

⁶⁴ *Enonchong N.*, The Enforcement of Foreign Arbitral Awards based on Illegal Contracts, in: Lloyd's Maritime and Commercial Law Quarterly 2000, Vol.20, Issue 4, LLP Professional Publishing, Vancouver, 2000, 800.

⁶⁵ *Hwang M., Lin K.*, Corruption in Arbitration: Law and Reality, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 77.

⁶⁶ *Enonchong N.*, The Enforcement of Foreign Arbitral Awards based on Illegal Contracts, in: Lloyd's Maritime and Commercial Law Quarterly 2000, Vol.20, Issue 4, LLP Professional Publishing, Vancouver, 2000, 199.

⁶⁷ *McIlwath M., Savage J.*, International Arbitration and Mediation, A Practical Guide, Kluwer International, Hague, 2010, 327.

მოდელური კანონით და არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით, მაგრამ საქართველოში არსებული რთული კორუფციული მდგომარეობიდან და მისი აქტუალობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია აღნიშნულის განხილვა.

UNCITRAL-ის მოდელურ კანონში მკაცრად არის შეზღუდული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოები ცდილობენ რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადახედვისას ეროვნული კანონმდებლობა შეუსაბამონ მოდელურ კანონს და შეამცირონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები. ამგვარი მიდგომა ხელსაყრელი იყო მხარეებისთვის, ამიტომ ეს წარმოადგენდა ბიძგს მათთვის საერთაშორისო საარბიტრაჟო შეთანხმებების დასადებად, რადგან არ არსებობდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი ან კიდევ არსებობდა ამისთვის მცირედი საფუძვლები.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მატერიალურ-სამართლებრივ ჩარევას არ ითვალისწინებს მოდელური კანონი, თუმცა ამგვარ მიდგომას აღიარებს მრავალი სახელმწიფო. არბიტრთა გადაწყვეტილების მატერიალურ-სამართლებრივი გადახედვა გულისხმობს გადახედვის სხვადასხვა ფორმასა და ჩარევის სხვადასხვა ხარისხს, მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა, კორუფციის განსაკუთრებული პრობლემატურობიდან და გავრცელებულობიდან გამომდინარე ქართულ რეალობასა და საერთაშორისო პრაქტიკაში, დიდი ყურადღება გამახვილდა ამ საკითხთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე, ამიტომაც ზემოთ განხილულ იქნა სასამართლოს ჩარევის ფარგლები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში კორუფციასთან დაკავშირებულ საქმეებზე. ყველა ეს მატერიალურ-სამართლებრივი ჩარევა განხვავდება ფუნდამენტურად მოდელური კანონის საფუძვლების მიხედვით: ისინი ეხება არბიტრთა საბოლოო გადაწყვეტილების მართებულობას, ვიდრე საარბიტრაჟო პროცესის დროს წარდგენილ საჩივრებს.

ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე UNCITRAL-ის მოდელური კანონის მიხედვით და ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებსაც უარი აქვს ნათქვამი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მატერიალურ-სამართლებრივი ფორმით ჩარევაზე. მართლაც, თანამედროვე საერთაშორისო საარბიტრაჟო პროცესის ცენტრალური ელემენტი არის საერთო ნაკლებობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ჩარევის საფუძვლების სიმცირისა.⁶⁸

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ჩარევის ამგვარ მიდგომას ითვალისწინებს ინგლისი, ირლანდია, ჩინეთი, ავსტრალია, სინგაპური, აბუ-დაბი, ლიბია, საუდის არაბეთი, ეგვიპტე და ამერიკის შეერთებული შტატები. დამატებით, სასამართლოები სხვა სამართლებრივ სივრცეში ემხრობიან იმას, რომ ჩაერიონ საქმის გარემოებებში, რომელთა საფუძველზეც არის მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და ჩაერიონ საჯარო წესრიგის დაცვისა და იმ მოტივით, რომ გადააცილეს თუ არა არბიტრებმა თავიანთ კომპეტენციას.⁶⁹

3.1. ცნობა-აღსრულება და გაუქმება, როგორც სასამართლოს კონკრეტული მექანიზმები

3.1.1. არბიტრთა მიკერძოებულობა

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს არბიტრთა მიკერძოებულობა. შუამდგომლობის წარდგენისას არბიტრთა მიკერძოებულობასთან დაკავშირებით, სასამართლოები აცხადებენ, რომ არბიტრების „მიკერძოებულად წარმოჩენის“ ფაქტი თავისთავად საკმარის საფუძველს წარმოადგენს; ნაცვლად ამისა, სახეზე უნდა იყოს „ხელშესახები მიკერძოებულობა“, ე.ი. არბიტრს რეალურ-

⁶⁸ Hall Street Assoc., LLC v. Mattel, Inc. 128 s. Ct 1396 (U.S. S. Ct. 2008), 341.

⁶⁹ Born G., International Commercial Arbitration, Kluwer International, Hague, 2009, 2637-38.

რად უნდა განეხორციელებინა მიკერძოებული ქმედება.⁷⁰ არსებობს სულ მცირე სამი განმარტება იმისა, თუ რას გულისხმობს არბიტრთა აშკარა მიკერძოებულობა: (1) „მიკერძოებულობის ხილვადობის“ (appearance of partiality) სტანდარტი, (2) „ფაქტიური მიკერძოებულობა“ (actual partiality) ან შეიძლება ვუნოდოთ დაინტერესების სტანდარტი და (3) „მიკერძოებულობის გონივრული აღქმის“ საშუალო საფუძვლის სტანდარტი (reasonable impression of partiality). მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოებს აქვთ შემუშავებული მიკერძოებულობის განმარტების აღნიშნული სამი სტანდარტი, ამის მიუხედავად მაინც არ არსებობს ერთიანი მიდგომა აშკარა მიკერძოებულობის განსამარტად.⁷¹

საარბიტრაჟო აქტების უმეტესობა აკონკრეტებს, თუ რა იგულისხმება არბიტრთა მიკერძოებულობაში. UNCITRAL-ის მოდელური კანონის 12(2) მუხლის მიხედვით, „არბიტრის დანიშვნის გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გარემოებები, რომლებიც წარმოშობს დასაბუთებულ ეჭვებს მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, ან თუ მას არ აქვს მხარეთა მიერ შეთანხმებული კვალიფიკაციები. მხარე უფლებამოსილია მისცეს აცილება მის მიერ დანიშნულ არბიტრს, ან ისეთ არბიტრს, რომლის დანიშვნაშიც თვითონ იღებდა მონაწილეობას, მხოლოდ იმ მიზეზით, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა დანიშვნის შემდგომ“.

სხვა ნაციონალური კანონმდებლობებიც იზიარებენ ამგვარ მიდგომას. ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიხედვით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს „თუ დაინტერესებული მხარე დაამტკიცებს, რომ არბიტრი იყო მიკერძოებული ერთ-ერთი საარბიტრაჟო პროცესის მხარის მიმართ“. ამის მსგავსად, მიკერძოებულობის მიღებული სტანდარტი ინგლისის სამართლის მიხედვით არსებობს იქ სადაც არის „დიდი ალბათობა და დიდი შესაძლებლობა მიკერძოებულობის“, ან სადაც „სამართლიან და ინფორმირებულ მეთვალყურეს“ შეუძლია დაასკვნას, რომ არსებობდა „რეალური შესაძლებლობა“ იმისა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ იყო მიუკერძოებელი.⁷²

არსებობს სხვადასხვა საფუძველი არბიტრთა მიკერძოებულობის გამოსავლენად. არბიტრის იძულებითი დანიშვნა – ეს ის შემთხვევაა როდესაც, არბიტრი საქმეს არ განიხილავს თავისი ნება-სურვილის მიხედვით. ანუ ამ შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან, რომ ამა თუ იმ არბიტრმა განიხილოს საარბიტრაჟო დავა, მაგრამ არბიტრი მასზე რაიმე ზეგავლენის მოხდენის საფუძველით იძულებულია გაუძღვეს საარბიტრაჟო პროცესს. როგორც წესი, სასამართლოები ამგვარი სახით მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს არ აღასრულებენ. დავაში ფინანსური დაინტერესება – ამ დროს არბიტრი დაინტერესებული არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით, რადგან ამგვარი შედეგით ის ნახავს ფინანსურ მოგებას. მიმდინარე ერთობლივი სამუშაო – ამგვარ შემთხვევაში არბიტრსა და საარბიტრაჟო მხარეს შესაძლოა ჰქონდეთ სამსახურეობრივი ურთიერთობა. დავაში წინასწარი ჩარევა – მიკერძოებულობის დასაბუთებლად კიდევ ერთ მიზეზად მიიჩნევა არბიტრის წინასწარი ჩარევა დავაში, როგორც კორპორაციული მოხელე, ადვოკატი ან მოწმე. ოჯახური ან პირადი ურთიერთობა საარბიტრაჟო მხარესთან – არბიტრის ურთიერთობა ადვოკატთან, ასევე ინვესს არბიტრის აცილებას. საარბიტრაჟო მხარესთან ბიზნეს-ურთიერთობა – თუ მხარეს და არბიტრს აქვთ მნიშვნელოვანი ბიზნეს-ურთიერთობა, მაშინ ეს ჩაითვლება მიკერძოებად, ხოლო თუ მათი საქმიანობა არის უმნიშვნელო და დავასთან არ არის დაკავშირებული, მაშინ ეს არ მიიჩნევა არბიტრის მიკერძოებულობად. კონტაქტი საარბიტრაჟო პროცესისას – მრავალი ინსტიტუციონალური წე-

⁷⁰ ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე: ცნობარი მოსამართლეებისთვის, 151.

⁷¹ Windsor K., Defining Arbitrator Evident Partiality: The Catch 22-of Commercial Litigation Disputes, 192, <http://scholarship.shu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1033&context=circuit_review>, [25.05.2015].

⁷² ASM Shipping Ltd of India v. TTMI Ltd of England [2005] EWHC 2238 (Comm.) (Q.B.).

სი, ასევე არბიტრთა ეთიკის კოდექსები კრძალავს მხარის კონტაქტს დამოუკიდებლად არბიტრთან. იმავე მხარის მიერ განმეორებით არბიტრის დანიშვნა – თუ არბიტრი განმეორებით დანიშნულია იმავე მხარის ან ადვოკატის მიერ, ამან შეიძლება გამოიწვიოს საფუძვლიანი ეჭვი, რომ არბიტრი არის მიკერძოებული. საკითხთა კონფლიქტი – ამ შემთხვევაში შესაძლოა არბიტრს ადრე თავისი აზრი ჰქონდეს გამოთქმული მიმდინარე დავასთან დაკავშირებით.⁷³

იმისთვის, რომ გავიგოთ არბიტრთა აშკარა მიკერძოებულობა ამისთვის არის საჭირო იმის განსაზღვრა თუ საიდან იწყება დაურწმუნებლობა მათ საქმიანობასთან დაკავშირებით: უზენაესი სასამართლომ 1968 წელს საქმეზე *Commonwealth Coatings Corp. v. Continental Casualty Co.* აღნიშნა, რომ ამ საქმეში, უზენაესი სასამართლო მიმართული იყო მიუკერძოებლობის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც არის აუცილებელი საჭიროება ყოველი სასამართლო პროცედურის და რომელიც გამოიყენება საარბიტრაჟო დავაში. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ დადებითი პასუხი გასცა იმ საკითხს, რომ არბიტრთა მიუკერძოებლობა ერთ-ერთი მთავარი საფუძველია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსასრულებლად აშკარა მიკერძოებულობის სტანდარტის განმარტება მაინც არ იყო გასაგები.⁷⁴

UNCITRAL-ის მოდელური კანონის მე-3 თავში (მუხლები 10-15) დეტალურად არის მოცემული საარბიტრაჟო ტრიბუნალის დანიშვნის პროცედურა, რაც განამტკიცებს არბიტრთა მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის საკითხს. მრავალი სამართლებრივი სისტემა უზრუნველყოფს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას თუ არბიტრი არ აკმაყოფილებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესაბამის სტანდარტს. ეს საფუძვლები როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა არ არის სიტყვასიტყვით მოცემული UNCITRAL-ის მოდელური კანონის 34(2)-ე მუხლში ან ნიუ-იორკის კონვენციის V მუხლში, და ასევე რამდენიმე საარბიტრაჟო აქტი შეიცავს გამოხატულად აღნიშნულ საფუძვლებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაუქმებლად. მიუხედავად ამისა, მომჩივანის პრეტენზია მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით შეიძლება დაეფუძნოს მოდელური კანონის 34(2)(ა)(იი) მუხლს იმიტომ, რომ მიკერძოებული ტრიბუნალი უარყოფს საარბიტრაჟო მხარის შესაძლებლობას, რომ წარმოადგინოს თავისი საქმე. ან აღნიშნული შეიძლება დაეფუძნოს მოდელური კანონის 34(2)(ა)(ივ) მუხლს იმიტომ, რომ მიკერძოებული ტრიბუნალი არ არის შემდგარი მხარეთა შეთანხმების ან გამოსაყენებელი სამართლის შესაბამისად. ასევე, მოდელური კანონის 34(2)(ბ)(2) მუხლს, რადგან მიკერძოებული ტრიბუნალი არღვევს საჯარო წესრიგის პროცესუალურ პრინციპებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნული საფუძვლები არის დაკავშირებული არბიტრის აცილებასთან.

UNCITRAL-ის მოდელური კანონისგან განსხვავებით, ამერიკის ფედერალური საარბიტრაჟო აქტი (FAA) შეიცავს რამდენიმე კანონით დადგენილ დათქმას, რომელიც ზუსტად აკონკრეტებს თუ რა იგულისხმება იმაში, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ აკმაყოფილებს სამართლიანობის სტანდარტის მთავარ პრინციპებს. ამერიკის ფედერალური საარბიტრაჟო აქტის მე-10 მუხლი ნებას რთავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, თუ „არსებობდა აშკარა მიკერძოებულობა“ ან „არბიტრები იყვნენ დამნაშავეები ან მოიქცნენ არასწორად, რომ უარყვეს საარბიტრაჟო განხილვის გადადება... ან სხვა არასწორი მოპყრობა, რომლითაც ზიანი მიადგა მხარის ინტერესებს“ (პარ. 10).

მიუხედავად იმისა, რომ აშკარად კანონით გათვალისწინებული არ არის, რომ არბიტრთა მიკერძოებულობა და დამოკიდებულობა შესაძლებელია გახდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თითქმის ყველა ნაციონალური სასამართლო აღიარებს აღნიშნულ საფუძვლებს გადაწყვეტილების გასაუქმებლად. ტრიბუნალის მიუკერძოებლობა არის ცენტრალური საკითხი საარბიტრაჟო პროცესის, რადგან უმეტეს სამართლებრივ სის-

⁷³ Born G., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer International, Hague, 2012, 134-135.

⁷⁴ იქვე, 195.

ტემაში აღიარებულია, რომ მიკერძოებული არბიტრის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ აღსრულდება.

არბიტრთა აცილების საკითხი, რაც ეფუძნება მათ მიკერძოებულობას, წამოჭრის ისეთ საკითხებს, როგორცაა უფლებაზე უარის თქმა ან/და ქმედების განხორციელების დაბრკოლება. მრავალ სამართლებრივ სისტემაში (UNCITRAL-ის მოდელური კანონის ჩათვლით) მიკერძოებულობა შეიძლება აღმოცენდეს ნაციონალურ სასამართლოებში საარბიტრაჟო განხილვის დროს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე. მეტიც, მრავალი ინსტიტუციონალური წესი უზრუნველყოფს აცილების პროცედურას, რომლის საშუალებითაც არბიტრი შეიძლება ჩამოცილებულ იქნას საარბიტრაჟო პროცესიდან. ამ შემთხვევებში, წარდგენილი განცხადება არბიტრთა მიკერძოებულობასთან დაკავშირებით განხილული იქნება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე.⁷⁵

იმ შემთხვევაში, თუ მხარე ვერ მოახერხებს არბიტრის აცილებას მიკერძოებულობის მოტივით, რომელიმე კანონით გათვალისწინებული ან ინსტიტუციონალური მექანიზმის მიხედვით, მიუხედავად აცილების ფაქტობრივი საფუძვლის შეტყობინებისა, მიიღება გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ უარი ეთქვას მხარეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნისთვის ამავე საფუძვლებით. ანუ ამ შემთხვევაში საარბიტრაჟო მხარე არბიტრის მიკერძოებულობას ასაჩივრებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე.⁷⁶

მიუხედავად ამისა, არსებობს შემთხვევები როდესაც საარბიტრაჟო მხარე აღმოაჩენს ფაქტებს, რომლებიც მისთვის წინასწარ ვერ გახდებოდა ცნობილი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ეს ფაქტები ეფუძნება არბიტრთა მიკერძოებულობას. ამ შემთხვევებში, შეიძლება არსებობდეს საფუძვლები საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაუქმებლად, იმ იურისდიქციებშიც (UNCITRAL-ის მოდელური კანონის ჩათვლით) კი, სადაც ჩვეული პროცედურა არბიტრის აცილება საარბიტრაჟო პროცესის მიმდინარეობისას.⁷⁷

ხოლო, როდესაც მხარე ეყრდნობა კანონის დონეზე განმტკიცებულ და ინსტიტუციონალურ დონეზე მონესრიგებულ აცილების პროცედურებს საარბიტრაჟო პროცესის მიმდინარეობისას, და არბიტრი არ იქნება აცილებული, შემდეგ წარმოიშობა ამის განხორციელების დაბრკოლება. როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ტერიტორიაზე მოქმედი სასამართლო უარყოფს მხარის განცხადებას იმის საფუძველზე, რომ არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება არბიტრთა მიკერძოებულობის დასამტკიცებლად, ეს შუალედური განცხადება იქნება დამაჯერებელი მტკიცებულება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაუქმებლად.⁷⁸

ზოგიერთ სამართლებრივ სივრცეში (განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში), შეუძლებელია განცხადების წარდგენა არბიტრის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით საარბიტრაჟო პროცესის მიმდინარეობისას, და მხარეს რჩება ერთადერთი საშუალება რომ თავისი მოთხოვნა წარადგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მისი გაუქმების მოთხოვნით. ამ შემთხვევებში, მხარემ პრეტენზია უნდა წარადგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ეტაპზე მისი გაუქმების მოთხოვნით.⁷⁹

⁷⁵ Born G., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer International, Hague, 2012, 323-324.

⁷⁶ *AAOT Foreign Economic Ass'n (VO) Technostroyexport v. Intl'l Dev. And Trade Sers. Inc.*, 139 F.3d 980 (2d Cir.1999).

⁷⁷ *Judgement of 14 March 1985, DFT 111 Ia 72 (Swiss Federal Tribunal); Judgement of 12 December 1996, 1998 Rev. arb. 699 (Paris Cour d'appel), Judgement of 23 March 1995, 1996 Rev. arb 446 (Paris Cour d'appel).*

⁷⁸ *Born G.*, *International Commercial Arbitration*, Kluwer International, Hague, 2009, 2613-16.

⁷⁹ *Born G.*, *International Commercial Arbitration*, Kluwer International, Hague, 2009, 325.

3.1.2. არბიტრთა მიერ საარბიტრაჟო პროცესის მხარის საპროცესო უფლებების დარღვევა

საარბიტრაჟო გადანყვეტილების გაუქმება შესაძლებელია, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დამარცხებულ მხარეს საარბიტრაჟო პროცესის წარმოებისას არ მისცა შესაძლებლობა წარედგინა თავისი საქმე შესაბამისად. UNCITRAL-ის მოდელური კანონის 34(2)(a)(ii) მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო გადანყვეტილება შეიძლება გაუქმდეს, „თუ მხარე, რომელიც მოთხოვნას აყენებს, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად შეეზღუდა საკუთარი პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა“.

საარბიტრაჟო გადანყვეტილების გაუქმება დამოკიდებულია იმ უარზე, რაზეც არბიტრი უარს ეუბნება საარბიტრაჟო მხარეს განახორციელოს შესაბამისი მოქმედება და მისცეს შესაძლებლობა შეასრულოს მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცედურული საკითხები. ფუნდამენტური საკითხია, რომ საარბიტრაჟო გადანყვეტილება შეიძლება გაუქმდეს გამოსაყენებელი სამართლის იმპერატიული საპროცესო ნორმების დარღვევის გამო, მიუხედავად იმისა მხარეები იყვნენ თუ არა შეთანხმებული ამაზე. ასევე, ყურადსაღებია, რომ მხარეებმა განსაზღვრონ თავიანთი საარბიტრაჟო შეთანხმებაში სავალდებულოდ შესასრულებელი ნორმები იმისათვის რომ, უფრო მეტად გარანტირებულნი იყვნენ თავიანთი უფლებების განხორციელებისას.⁸⁰

განსახილველი საკითხი ეხება არის თუ არა პროცედურული სამართლიანობის შესაბამისი სტანდარტის დარღვევა საარბიტრაჟო გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი ზემოთ აღნიშნული მუხლის შესაბამისად და საარბიტრაჟო განხილვის ადგილობრივი სამართალი ადგენს თუ არა ასეთ სტანდარტს. სასამართლოების უმეტესობას აქვთ დადგენილი, რომ სამართლიანი პროცესის ადგილობრივი სტანდარტები უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ გაუქმდეს საარბიტრაჟო გადანყვეტილება.⁸¹ ამავე დროს, სასამართლოთა უმეტესობამ ხაზი გაუსვა, რომ ადგილობრივ დავებში არ არის აუცილებელი ადგილობრივი საპროცესო სამართლის გამოყენება, რადგან მთავარია დაცულ იქნას სამართლიანობის ფუნდამენტური პრინციპები.

რამდენიმე პროცესუალურ საკითხთან დაკავშირებულ გარანტიას ითვალისწინებს მოდელური კანონის მუხლი 34(2)(a)(ii): ა) თანაბარი მოპყრობის უფლება; ბ) სათანადო შესაძლებლობა საქმის წარდგენისა; გ) სამართლიან მდგომარეობაში ყოფნა. აღნიშნული გარანტიები მიიჩნევა მთავარ საფუძველად საპროცესო უფლებების დასაცავად.⁸²

ზემოთ აღნიშნული მუხლის საფუძველზე მიღებული საარბიტრაჟო გადანყვეტილებები და ასევე ამ მიდგომას მიმხრობილი ნაციონალური სასამართლოები აუქმებენ საარბიტრაჟო გადანყვეტილებას არბიტრთა პროცედურული დარღვევის გამო. ეს განსაკუთრებით რეალურია, როდესაც მხარეთა მიერ ზუსტად არის შეთანხმებული საპროცესო პროცედურები. ეს არის მხარეთა ავტონომია, რასაც აღიარებს საერთაშორისო არბიტრაჟი და რაც აღიარებულია ნიუ-იორკის კონვენციის მუხლით V(1)(d). არსებობს შეზღუდული გარემოებები, რომელთა მიხედვით შეთანხმებული საპროცესო პროცესი შესაძლოა მიჩნეულ იქნას არასამართლიანად. აღნიშნულის საფუძველზე საპროცესო ნორმა მიიჩნევა დარღვეულად, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შემთხვევა იშვიათობას წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი საკითხია ასევე არბიტრთა დისკრეციული უფლებების პატივისცემა. იმ შემთხვევაში თუ მხარეები უგულისყურად ტოვებენ პროცედურულ საკითხებს, მაშინ ნაციონალური სასამართლოები სიფრთხილით ეპყრობიან საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გატარებულ საპროცესო პროცედურებს.

⁸⁰ *Born G.*, International Commercial Arbitration, Vol. 2, Kluwer International, Hague, 2015, 2573-75.

⁸¹ *Int'l Transactions Ltd v. Embotelladora Argal Regiomontana*, 347 F.3d 589, 594 (5th Cir. 2003).

⁸² *Born G.*, International Commercial Arbitration, Kluwer International, Hague, 1770-73, 2572-78.

საარბიტრაჟო რეჟიმთა უმეტესობა მხარეებისგან მოითხოვს, რომ დაიცვან თავიანთი საპროცესო უფლებები საარბიტრაჟო პროცესის მიმდინარეობისას, რათა შემდეგ ეს დაუდონ საფუძვლად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნას. მრავალი ინსტიტუციონალური წესი მოითხოვს მხარეებისგან, რომ საპროცესო უფლების დარღვევის შემთხვევაში მაშინვე განაცხადონ თავიანთი უფლების შელახვის შესახებ, მაგრამ ამის გარეშეც ნაციონალური სასამართლო მაინც მივა იმავე შედეგამდე. ამგვარად, სასამართლოებმა ერთგვარად დაადგინეს, რომ თუ მხარეები მაშინვე ვერ მოახერხებენ განცხადების წარდგენას, მაშინ მათ ეს უნდა ამტკიცონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის დროს.⁸³

საარბიტრაჟო ტრიბუნალის შეცდომაა, როდესაც საარბიტრაჟო პროცესი არ წარიმართება მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცედურის შესაბამისად, რაც იწვევს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას. UNCITRAL-ის მოდელური კანონის 34(2)(ა)(ივ) მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუქმდება, „თუ არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო პროცედურა არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული შეთანხმება ამ კანონის სავალდებულო დებულებებს ეწინააღმდეგება ან ამგვარი შეთანხმების არარსებობისას ამ კანონს არ შეესაბამებოდა“. მსგავს დათქმას ითვალისწინებს ნიუ-იორკის კონვენციის V(1)(d) მუხლი და ასევე მსგავსი დათქმებია სხვა საარბიტრაჟო აქტებშიც. იურისდიქციები, რომელთაც საკანონმდებლო დონეზე არ აქვთ მოწესრიგებული აღნიშნული საკითხი, ზოგადი პრინციპების შესაბამისად გადახედავენ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პროცედურებს და თუ აღმოაჩინენ, რომ არბიტრთა მიერ დარღვეულია მხარის საპროცესო უფლებები, მაშინ აუქმებენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.⁸⁴

საარბიტრაჟო შეთანხმებები ზოგჯერ შეიცავს მხარეთა მიერ შედგენილ საარბიტრაჟო პროცედურას მათი საჭიროების შესაბამისად. სასამართლოების უმეტესობამ დაადგინა, რომ ამ შეთანხმების უარყოფამ ტრიბუნალის მიერ შესაძლებელია გამოიწვიოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება. ამის საწინააღმდეგოდ შევიცარიის სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცედურული საკითხების დარღვევა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას.⁸⁵ ამ ხედვის გაზიარება რთულია, რადგან ირღვევა მხარეთა ავტონომიურობის საკითხი.

სასამართლოთა უმეტესობა მოითხოვს, რომ გათვალისწინებულ იქნეს პროცედურული საკითხის დარღვევის მნიშვნელობა, რათა უმნიშვნელო საპროცესო უფლების შელახვის გამო არ გაუქმდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.⁸⁶

სხვა საფუძვლად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაუქმებლად გვევლინება ასევე შემთხვევა, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ არის მიღებული შესაბამის ვადაში. ზოგიერთი საარბიტრაჟო შეთანხმება შეიცავს, რომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს შეზღუდულ დროის პერიოდში, ვიდრე ეს საარბიტრაჟო აქტით არის განერილი. პრაქტიკაში, ნაციონალური სასამართლოები ხშირად უარყოფენ მხარის მოთხოვნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით იმ საფუძვლით, რომ ტრიბუნალმა გადაწყვეტილება არ მიიღო შესაბამის ვადაში.⁸⁷

საბოლოოდ, სასამართლოთა უმეტესობა უარყოფს იმ არგუმენტაციას, რომ არბიტრებმა შეცდომა დაუშვეს რომ არ შეასრულეს მხარეთა მიერ შერჩეული პროცედურა იმ მიზნით, რომ არ იყო არჩეული სწორი სამართალი. როდესაც არბიტრი აშკარად უარყოფს, რომ არჩეული სამართლის შესაბამისად წარიმართოს საარბიტრაჟო პროცესი და ამის მაგივრად მიმარ-

⁸³ Lucent Tech., Inc. v. Tatung Co., 379 F.3d 24, 31 (2d Cir. 2004).

⁸⁴ Born G., International Commercial Arbitration, Kluwer International, Hague, 1747-57, 2596-98.

⁸⁵ Judgement of 16 March 2004, 22 ASA Bull. 770, 779 (Swiss Federal Tribunal).

⁸⁶ Karaha Bodas Co. v. Perusahaan Pertambangan Minyak Dan Gas Bumi Negara, 190 F.Supp.2d 936, 945 (S.D. Tex. 2001).

⁸⁷ Fiat SpA v. Ministry of Fin. and Planning, 1989 U.S. Dist. LEXIS 11995 (S.D.N.Y. 1989).

თავს სხვა სამართლებრივ სისტემას, ამ შემთხვევაში მას აქვს იმის მანდატი, რომ განსაზღვროს დავის არსი. ამ შემთხვევაში სასამართლო ჩარევის საგანი იგივე იქნება, რაც არსებობს სხვა არსებითი გადაწყვეტილებისას.⁸⁸

3.1.3. არბიტრთა კომპეტენციის/ფარგლებს გარეთ არსებული საკითხის გადაწყვეტა

სამართლებრივ სისტემათა უმეტესობის მიხედვით საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესაძლებელია გაუქმდეს, როდესაც არბიტრი ფარგლებს გარეთ არსებულ საკითხს გადაწყვეტს, ანუ გადააცილებს თავის კომპეტენციას. UNCITRAL-ის მოდელური კანონის 34(2)(a)(iii) მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესაძლებელია გაუქმდეს, „თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ეხება საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს, იმის გათვალისწინებით, რომ თუ შესაძლებელია, რომ გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც დაექვემდებარა არბიტრაჟს ცალკე გამოიყოს იმ საკითხებიდან, რომლებიც არ დაექვემდებარა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუქმდება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს გადაწყვეტილებას არბიტრაჟისადმი დაუქვემდებარებელ საკითხებზე“. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაუქმებლად ეს საფუძველი ასევე მოცემული არის ნიუ-იორკის კონვენციის მუხლში V(1)(c) და ეს ასევე გაზიარებული არის მრავალ საარბიტრაჟო აქტში.⁸⁹ ეს საფუძველი პირდაპირ მიემართება შემთხვევებს, როდესაც ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება არსებობს, მაგრამ საკითხები რომლებიც გადაწყვიტა ტრიბუნალმა არის საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების ფარგლებს გადაცილება ან იმ საკითხების ფარგლებს გადაცილება, რომლებიც მხარეების მიერ წარდგენილია არბიტრაჟის წინაშე. ასევე, საკამათოა ის საკითხი თუ როდის დაუშვა შეცდომა არბიტრაჟმა თავისი კომპეტენციის ფარგლების გადაცილების დასამტკიცებლად.

ყველაზე ჩვეული შემთხვევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაუქმებლად UNCITRAL-ის მოდელური კანონის 34(2)(a)(iii) მუხლის მიხედვით, არის შემთხვევა, როდესაც არბიტრები გადაწყვეტენ იმ საკითხს, რომელიც მხარეების მიერ არ იყო მათთვის წარდგენილი – ამ შემთხვევას მოიხსენიებენ, როგორც *extra petita an ultra petita*. საკითხები, რომლებიც არ არის არბიტრთა წინაშე წარდგენილი მხარეთა მიერ და თუ ამგვარი საკითხები იქნება გადაწყვეტილი არბიტრთა მიერ, ამგვარ გადაწყვეტილებებს აუქმებს ნაციონალური სასამართლოების უმეტესობა.⁹⁰ პრაქტიკაში, მიუხედავად ამისა, სასამართლოები უხალისოდ არიან განწყობილნი იმასთან დაკავშირებით, რომ მიიღონ მტკიცებულებები არბიტრთა მიერ კომპეტენციის ფარგლების გადაცილების შესახებ. მიუხედავად ამისა, სადავო საკითხი წამოიჭრება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაუქმებლად, როდესაც ტრიბუნალი მიმართავს იმ საკითხების გადაწყვეტას ან იმ მოთხოვნას აკმაყოფილებს, რომლებიც მხარეების მიერ არ იყო წარდგენილი.⁹¹ ეჭვები მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნების თაობაზე როგორც წესი წყდება იმის მიხედვით, თუ არბიტრებმა მხარეთა მიერ წარდგენილი საკითხის როგორი ინტერპრეტაცია მოახდინეს.

სასამართლოები არაკეთილგანწყობილად არიან იმ არგუმენტების მიმართ, რომლებიც ეხება ნორმის არასწორად განმარტებას ან იმ ქმედების განსახორციელების უარყოფას, რომე-

⁸⁸ Born G., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer International, Hague, 2012, 322.

⁸⁹ იხ. მაგალითად: Netherlands Code of Civil Procedure, Art. 1065 (1)(c); Belgian Judicial Code, Art.1704(2); Japanese Arbitration Law, Art. 44(1)(x).

⁹⁰ Born G., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer International, Hague, 2012, 2605-09.

⁹¹ *Coast Trading Co. v. Pacific Molasses Co.*, 681 F. 2d 1195, 1198 (9th Cir. 1982).

ლიც უშუალო კავშირშია მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებასთან. ამ დროს სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომ სასამართლომ გადახედოს იმ საქმის გარემოებებს, რომელთა საფუძველზეც არის მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. აღნიშნული შემთხვევა არ განიხილება როგორც არბიტრთა მიერ კომპეტენციის ფარგლებს გადაცილება, არამედ განიხილება, როგორც არასწორი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღება თავიანთი კომპეტენციის განხორციელებისას.⁹²

აღნიშნული გახდა გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველი საქმეზე *Lesotho Highlands Development Authority v. Impregilo SpA*, სადაც ლორდთა პალატამ უარყო არგუმენტი, რომ ტრიბუნალმა გამოიყენა ინგლისური სამართალი და არა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობები, რაც იყო კომპეტენციის ფარგლებს გადაცილება და რაც გახდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი ინგლისის საარბიტრაჟო აქტის §68-ის მიხედვით. Lord Steyn-მა განაცხადა, რომ „არსად §68-ში არ იგულისხმება, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის შეცდომა შეიძლება ჩაითვალოს „სწორ გადაწყვეტილებად და იყოს იმის შესაძლებლობა რომ იდავონ აღნიშნული მუხლის საფუძველზე“.⁹³ მაშინ როცა ორივე შეხედულება არის სწორი, სასამართლოები მიუხედავად ამისა არ მიიჩნევენ, რომ შეცდომა სამართალში განიხილონ, როგორც კომპეტენციის ფარგლებს გადაცილება.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ასევე გაუქმდება, თუ საკითხები არ არის გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით. ზოგადად, საარბიტრაჟო შეთანხმების გამოყენების სფეროს განმარტება არის განსახილველი ამ შემთხვევაში.⁹⁴ მნიშვნელოვანია, რომ მხარე რომელიც ეყრდნობა ამ საფუძველს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაუქმებლად წარადგინა საჩივარი სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით საარბიტრაჟო პროცესის მიმდინარეობისას.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა არ გაითვალისწინა ის საკითხები, რომლებიც წარდგენილი იყო მის წინაშე (ე.წ. *infra petita*), საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესაძლებელია გაუქმდეს ზოგიერთი ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისად.⁹⁵

3.2. კორუფციული ან/და თაღლითური გარიგებების საფუძველზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და მისი გასაჩივრების საფუძველები

აშკარაა, რომ თაღლითობა გამოიწვევს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას UNCITRAL-ის მოდელური კანონის 34(2) მუხლის საფუძველზე (და სხვა საარბიტრაჟო კანონმდებლობის). მოდელური კანონი აშკარად არ გამოხატავს, რომ თაღლითობა შესაძლებელია გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, მაგრამ მისი შექმნის ისტორია ხდის ნათელს, რომ თაღლითობა დაშვებულიყო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად (საჯარო წესრიგის გათვალისწინებით). მსგავსად, საარბიტრაჟო კანონმდებლობა, სადაც არ არის გათვალისწინებული UNCITRAL-ის მოდელური კანონი, ითვალისწინებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმებას თაღლითობის საფუძველზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს საფუძველი არ არის კანონის დონეზე მონესრიგებული, სასამართლოები ემხრობიან ამგვარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას. ეს მიდგომა ასევე არის ნიუ იურკის კონვენციით გათვა-

⁹² *Born G.*, International Commercial Arbitration, Kluwer International, Hague, 2009, 2608-09.

⁹³ *Lesotho Highlands Dev. Auth. v. Impregilo SpA* [2006] 1 A.C. 221, at 29 (House of Lords).

⁹⁴ *HCC Aviation Inc. Group, Inc. v. Employers Reins. Corp.*, 2005 U.S. Dist. LEXIS 19992 (N.D. Tex. 2005); *Judgement of 3 October 2000 Nejapa Power Company v. CEL*, DFT 4P.60/2000, cons. 3a, 19ASA Bull. 796 (Swiss Federal Tribunal).

⁹⁵ English Arbitration Act, 1996, §68(2)(d); Swiss Law on Private International Law, Art. 190(2)(c); Italian Code of Civil Procedure, Art.829(4).

ლისწინებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის ეტაპზე შესასრულებელი მოქმედებებისას.

თაღლითობა უმეტეს შემთხვევებში გამოწვეული არის ცრუ ჩვენებით ან გაყალბებული მტკიცებულებით. „საარბიტრაჟო პროცესისას განზრახვით წარდგენილი ყალბი მტკიცებულება შეადგენს თაღლითობას“. სასამართლოებმა შეიმუშავეს შესაბამისი სტანდარტი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაუქმებლად თაღლითობის დროს. თუ სახეზეა ცრუ ჩვენება ან მისი ტოლფასი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ გაუქმდება თაღლითობის საფუძვლით, თუ მომჩივან მხარეს საარბიტრაჟო მოსმენისას ჰქონდა შესაძლებლობა თავისი მოწინააღმდეგის მოთხოვნების უარყოფისა. ინგლისურმა სასამართლოებმა მოითხოვეს, წინასწარ განზრახული თაღლითობის მტკიცებულება (არა დაუდევრობა ან გულგრილობა), რომელმაც გავლენა მოახდინა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე.⁹⁶

წამყვანი იურისდიქციების საარბიტრაჟო კანონმდებლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით არის ნიუ-იორკის კონვენციით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლების შესაბამისი.⁹⁷

კორუფცია, როგორც საჯარო წესრიგის განსაკუთრებული საკითხი შესაძლებელია წარმოიშვას ორი შესაძლო გზით გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ეტაპზე. პირველი შემთხვევა, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს არის, როცა გადაწყვეტილება არის კორუფციის შედეგი, მაგალითად, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის პროცესზე გავლენა იქონია კორუფციულმა ქმედებამ. მეორე შესაძლო სცენარი არის, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი სათანადოდ არ განიხილავს კორუფციასთან დაკავშირებულ იმ განცხადებებს, რომლებიც აღმოცენდა საარბიტრაჟო პროცესის მიმდინარეობისას.⁹⁸ ორივე შესაძლო შემთხვევა, რომლებიც დაკავშირებული არიან კორუფციის საფუძველზე მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან, განხილული იქნება ქვემოთ.

3.2.1. კორუფციის შედეგად მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება

არ არსებობს ეჭვი იმასთან დაკავშირებით რომ საქმეებში, სადაც არბიტრები ღებულობენ ფულად ან არაფულად მოგებას, იმისათვის რომ გამოიტანონ გადაწყვეტილება ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ, ითვლება რომ გადაწყვეტილების მიღება გამოწვეულია კორუფციის საფუძველზე და შესაბამისად ეს არის ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო, ე.ი. ტრანსნაციონალური საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო.⁹⁹

არსებობს საერთაშორისო კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რომ თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი გარეული არის კორუფციაში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ აღსრულდება მიუხედავად იმისა, კორუფციამ იქონია თუ არა გავლენა გადაწყვეტილებაზე.¹⁰⁰ მაგრამ პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც გადაწყვეტილება აღსრულდება იმ მტკიცებულების მიუხედავად, რომ ტრიბუნალი იყო მოქრთამული. დავაში *Techno v IDTS*¹⁰¹ მხარე ცდილობდა, რომ აღესრულებინა გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებული შტატების სასამარ-

⁹⁶ *Born G.*, International Arbitration: Law and Practice, Kluwer International, Hague, 2012, 327-328.

⁹⁷ *Born G.*, International Commercial Arbitration, Kluwer International, Hague, 2009, 2552, 2556-2560, 2827-2863.

⁹⁸ *Sheppard A., Delaney J.*, The Effect of Allegations of Corruption of International Arbitration Proceedings, in Particular in Relation to the Jurisdiction of the Tribunal and the Enforcement of Awards, paper presented at the 10th International Anti-corruption Conference, October, 2001, Prague, 4.

⁹⁹ იქვე, 3-4.

¹⁰⁰ იქვე, 4.

¹⁰¹ United States Court of Appeals, Second Circuit, 139 F.3d 980, AAOT Foreign Economic Association Vo Technostroyexport v. International Development and Trade Services Inc., 1998.

თლოებში. გადანყვეტილების გამოტანამდე IDTS-მა გამოიკვლია იყო თუ არა ტრიბუნალი მოქრთამული და დაადგინა, რომ იყო შედარებით ადვილი არბიტრების მოსყიდვა. ამ ფაქტის შეცნობის შემდგომ IDTS კვლავ ინარჩუნებდა სიჩუმეს და ელოდებოდა ტრიბუნალის გადანყვეტილებას. არახელსაყრელი გადანყვეტილების მიღების შემდეგ, IDTS-მა გადანყვიტა საარბიტრაჟო გადანყვეტილების გასაჩივრება აღსრულების ეტაპზე საჯარო წესრიგის საფუძვლით, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების სააპელაციო სასამართლომ უარყო მისი განაცხადი და მიიღო გადანყვეტილება, რომ წინასასამართლო განცხადებების მიუხედავად, IDTS-ს უფლება არ ჰქონდა ემტკიცებინა საჯარო წესრიგის საფუძველზე გადანყვეტილების გაუქმების მოთხოვნა თავისი ცოდნიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ამ საქმეში არ გამოხატა შეხედულება განცხადების საფუძვლიანობასთან დაკავშირებით. გადანყვეტილება იქნა მიღებული, რომ ისინი კანონიერიც რომ ყოფილიყო, საჩივრის წარუდგენლობა ნიშნავს უფლებაზე უარის თქმას და შესაბამისად საჯარო წესრიგის საფუძვლით არ შეიძლება გასაჩივრებულიყო.¹⁰²

მსგავსად, 1946 წელს სასამართლომ საქმეზე *San Carlo Opera Co. v. Conley* მიიღო გადანყვეტილება, რომ: როდესაც მხარეს აქვს ცოდნა იმ ფაქტების შესახებ, რაც შესაძლებელია მინიშნებდეს არბიტრის მიკერძოებულობაზე რომელიმე მხარის მიმართ, მან არ უნდა შეინარჩუნოს სიჩუმე და მოგვიანებით არ უნდა წამოაყენოს პრეტენზია საარბიტრაჟო გადანყვეტილებასთან დაკავშირებით ამ საფუძვლით. მისი სიჩუმე ადგენს საჩივრის წარდგენაზე უარის თქმას.¹⁰³

სხვა სასამართლომ ასევე დაამტკიცა, რომ პრეტენზია არბიტრთა კვალიფიკაციის თაობაზე, ობიექტურად არის წარუმატებელი, როდესაც მხარეს აქვს ინფორმაცია მიკერძოებასთან დაკავშირებით, მაგრამ არ წარადგენს საჩივარს გადანყვეტილების გამოტანამდე.¹⁰⁴

3.2.2. საარბიტრაჟო გადანყვეტილების მატერიალური სამართლის გასაჩივრება

მთავარი საფუძველი, რატომაც მხარეები ასაჩივრებენ, თუ რატომ არ განიხილა სათანადოდ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა კორუფციასთან დაკავშირებული განცხადებები არის ის, რომ ისინი არ ეთანხმებოდნენ იმ სინამდვილის დადგენას ან/და სამართლის იმ განმარტებას, რომლებიც განახორციელეს არბიტრებმა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ნამდვილობის განსასაზღვრად.¹⁰⁵ კონსესუსია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ თუ ხელშეკრულება არაკანონიერია გამოსაყენებელი სამართლის მიხედვით, ის გაუქმდება და შესაბამისად შეუძლებელი იქნება მისი შესრულება.¹⁰⁶ მიუხედავად კორუფციულ საქმეებთან კავშირისა, გაურკვეველობა შეიძლება წამოიჭრას, როდესაც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ნამდვილია მისი გამოსაყენებელი სამართლის მიხედვით, მაგრამ ეს შეიძლება იყოს საჯარო წესრიგის ან ცნობა-აღსრულების ქვეყნის სამართლის იმპერატიული ნორმების საგანი, ან ვალდებულების შესრულების ქვეყნის, ან საარბიტრაჟო განხილვის ადგილის ქვეყნის სამართლის, რომლის შესაბამისადაც შესაძლებელია ხელშეკრულება გაუქმდეს და შესაბამისად არ შეს-

¹⁰² United States Court of Appeals, Second Circuit, 139 F.3d 980, *AAOT Foreign Economic Association Vo Technostroyexport v. International Development and Trade Services Inc.*, 1998, პარ. 10.

¹⁰³ United States District Court, SD New York., 72 F.Supp. 825, *San Carlo Opera Co., Ltd. v. Conley*, 1946, para. 35.

¹⁰⁴ United States Court of Appeals, Second Circuit, 449 F.2d 106, *Cook Industries, Inc. v. C. Itoh & Co. (America) Inc.*, 1971; United States District Court, N.D. New York, 83-CV-529, *Swift Indep. Packing Co. v. District Union Local One, United Food & Commercial Workers International Union*, 1983.

¹⁰⁵ *Hwang M., Lin K.*, *Corruption in Arbitration: Law and Reality*, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 34-37.

¹⁰⁶ იქვე, 34.

რულდეს. ამგვარად, არბიტრები და მოსამართლეები ხშირად აწყდებიან იმ პრობლემატურ სიტუაციებს, როდესაც მათ უნდა გადაწყვიტონ მხარეების მიერ არჩეული სამართალს შეუძლია თუ არა გადანონოს საარბიტრაჟო განხილვის ან ვალდებულების შესრულების ქვეყნის სამართალი. აღნიშნული პრობლემა არ იარსებებდა მაგალითად, როცა საქმე ეხება სახელმწიფო მაღალჩინოსნების მექრთამეობას.¹⁰⁷ ამგვარი კორუფციული საქმის მიმართ ცივილიზებული სახელმწიფო არ არის შემწყნარებლური და შესაბამისად ნაკლებად სარწმუნოა, რომ გამოსაყენებელი სამართალი მოვა ერთმანეთთან კონფლიქტში, სანამ დადგინება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ნამდვილობა.¹⁰⁸ მეტიც, საჯარო მაღალჩინოსნების მექრთამეობა და ამგვარი წმინდა კორუფციასთან დაკავშირებული საქმეები არის ტრანსნაციონალური საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო და მიუხედავად საარბიტრაჟო ტრიბუნალის ან ნაციონალური სასამართლოს მიერ გამოყენებული სამართლისა, არაკანონიერი ქმედების დასჯა იქნება დადგენილი და შედეგად კორუფციაში გარეული მხარის მიერ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საჩივრები არ დაკმაყოფილდება.¹⁰⁹

შესაბამისად, როდესაც დავებში კორუფცია ცალსახაა, საარბიტრაჟო ტრიბუნალს არ მოეთხოვება, რომ მოახდინოს სამართლის ნორმათა კონფლიქტის ანალიზი, მას შემდეგ რაც ხელშეკრულება გამოცხადდება გაუქმებულად, როგორც ტრანსნაციონალური საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო.¹¹⁰ მიუხედავად იმისა, როდესაც დავები წარმოიშობა საშუამავლო ხელშეკრულებების საფუძველზე – რომლებიც არ მიიჩნევა ტრანსნაციონალური საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ, მაშინ სამართლის კონფლიქტის გარკვევას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, მას შემდეგ რაც შესაძლოდ გამოსაყენებელ კანონმდებლობებს შესაძლოა ჰქონდეს სხვადასხვა მიდგომა ამ საკითხთან მიმართებით და, ამას გარდა, არბიტრებსა და მოსამართლეებს არ აქვთ იმის უფლებამოსილება, რომ გააუქმონ გადაწყვეტილებები ტრანსნაციონალური საჯარო წესრიგის საფუძველზე გამოსაყენებელი სამართლის გაუთვალისწინებლად.¹¹¹ ზოგიერთი სამართლებრივი სისტემა კრძალავს საშუამავლო ხელშეკრულებებს, რომლებიც იდება მექრთამეობის მიზნით ან სხვა მხრივ აქვს გავლენა სახელმწიფო მაღალჩინოსნებს, არ აქვს მნიშვნელობა განზრახვას ან იმას დამტკიცებულია თუ არა უკანონობის ფაქტი.¹¹² ამის საპირისპიროდ, ზოგიერთი იურისდიქცია ემხრობა საშუამავლო ხელშეკრულებებს თუ მხარეებს არ აქვთ არაკანონიერი განზრახვა, არ არის მექრთამეობის ფაქტი ან უკანონო გავლენით ხომ არ არის განხორციელებული.¹¹³

მხარეთა ავტონომიისა და სამართლებრივი ურთიერთობის განზრახვის საპატივსაცემოდ აუცილებელია, რომ ხელშეკრულებაში მოცემული გამოსაყენებელი სამართალი გათვალისწინებულ იქნას საქმის განხილვისას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში მხარეთა ავტონომიის პრინციპი და მათ მიერ არჩეული სამართალი ხშირად გადანონილი არის ვალდებულების შესრულების ქვეყნის სამართლის ან საარბიტრაჟო განხილვის ადგილის ქვეყნის იმპერატიული ნორმებით ან სხვა საჯარო წესრიგის პრინციპებით. მაშასადამე, არჩეული სამართლის საკითხის განხილვას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა საშუამავლო ხელშეკრულების ნამდვილობის დასადგენად.

¹⁰⁷ *Born G.*, International Commercial Arbitration, Kluwer International, Hague, 2009, 2139-2140.

¹⁰⁸ *Hwang M., Lin K.*, Corruption in Arbitration: Law and Reality, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 70.

¹⁰⁹ *ib. მაგალითად*, World Duty Free, International Centre for Settlement of Investment Disputes Washington („ICSID“), D.C., World Duty Free Company Limited v. The Republic of Kenya, ARB/00/7, 2006, para. 157.

¹¹⁰ *Hwang M., Lin K.*, Corruption in Arbitration: Law and Reality, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 26.

¹¹¹ *იქვე*, 71.

¹¹² *Sayed A.*, Corruption in International Trade and Commercial Arbitration, Kluwer Law International, Hague, 2004, 168-169, 192-193.

¹¹³ *იქვე*, 190-230; 348-353.

სამართლის ნორმათა კონფლიქტის ანალიზი დაფუძნებული უნდა იყოს იმ დავებზე, რომლებიც წარმოიშვა საშუამავლო ხელშეკრულებიდან, მაგრამ ყველა ვარაუდი შესაძლოა იყოს გამოყენებადი სხვა სახის კონტრაქტებისთვისაც, რომლებიც შესაძლოა განიხილონ თავისი გამოსაყენებელი სამართლის მიხედვით, მაგრამ შესაძლოა იყოს საარბიტრაჟო განხილვის ადგილის ქვეყნის ან ვალდებულების შესრულების ქვეყნის სამართლის საწინააღმდეგო. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ იქნა განხილული, ამგვარი სცენარი ნაკლებად სავარაუდოა, რომ წარმოიშვას საქმეებში, რომლებიც დაკავშირებულია საშუამავლო ხელშეკრულებებთან.

3.2.2.1 ვალდებულების შესრულების ადგილის მნიშვნელობა

მრავალ შემთხვევაში მხარეებს და მათ საშუამავლო ხელშეკრულებებს არ აქვთ ან აქვთ უმნიშვნელო კავშირი არჩეული სამართლის იურისდიქციასთან და ამის მაგივრად მათ აქვთ მჭიდრო კავშირი იმ ქვეყანასთან, სადაც მთავარი სახელშეკრულებო ვალდებულებები შესრულდა.¹¹⁴ ზოგიერთი ქვეყნის იურისდიქცია ითვალისწინებს, რომ საჯარო წესრიგის პრინციპები ასახული იყოს ვალდებულების შესრულების სამართლის იმპერატიულ ნორმებში, რამაც შესაძლოა უპირატესი გავლენა მოახდინოს არჩეულ სამართალზე, თუ მათ აქვთ მჭიდრო კავშირი დავასთან.¹¹⁵ სავალდებულო ნორმების იმპერატიულ ბუნებას შეუძლია (მაგრამ არ არის აუცილებელი), რომ ისინი გახადოს გამოსაყენებელი მიუხედავად მხარეთა შორის გამოსაყენებელი სამართლისა.¹¹⁶ იქნება თუ არა მიჩნეული სამართლის ნორმა იმპერატიულად ეს დამოკიდებულია მისი გამოყენების სფეროზე, ბუნებასა და მიზანზე.¹¹⁷

პრინციპი რომ ვალდებულების შესრულების ადგილის იმპერატიულ ნორმებს ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა ჰქონდეს უფრო მეტი ძალა ვიდრე მხარეთა მიერ არჩეულ სამართალს, დადგენილია Rome I¹¹⁸ რეგულაციით, რომელიც ნებას რთავს იმპერატიული ნორმების დისკრეციული გამოყენების უფლებას იმ ქვეყნის სამართლისა „სადაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი ვალდებულებები უნდა შესრულდეს ან შესრულადა“.¹¹⁹

მსგავსად, შვეიცარიის 1987 წლის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის („PILA“) მე-19 მუხლის მიხედვით, საქმის არსთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალი შესაძლებელია იყოს გამოსაყენებელი, თუ „მხარის ლეგიტიმური და აშკარა უპირატესი ინტერესები ამას მოითხოვს“.¹²⁰ ამ მუხლის გამოყენებისას იმ დავებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხებოდა საშუამავლო მომსახურებებს, შვეიცარიის საარბიტრაჟო ტრიბუნალები უხალისოდ იყვნენ განწყობილნი იმ გადაწყვეტილების მისაღებად, რომ შეეცვალათ მხარეთა მიერ არჩეული სამართალი და ამის შესაბამისად განეხილათ საშუამავლო ხელშეკრულებები. მხარეებს უმეტეს შემთხვევაში არ შეუძლიათ წარმოაჩინონ თავიანთი „ლეგიტიმური და აშკარა უპირატესი ინტერესები“ საკითხთან მიმართებით ან ის რომ დავასთან დაკავშირებული გარემოებები საკმარისად „ახლოს დაკავშირებულია“ უფრო ხელსაყრელ

¹¹⁴ Hwang M., Lin K., Corruption in Arbitration: Law and Reality, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 30.

¹¹⁵ Born G., International Commercial Arbitration, Kluwer International, Hague, 2009, 2172-2173.

¹¹⁶ Mayer P., Mandatory Rules of Law in International Arbitration, in: Arbitration International, 1986, Vol. 2, Issue 4, Oxford University Press, Oxford, 274-294, 275.

¹¹⁷ Born G., International Commercial Arbitration, Kluwer International, Hague, 2009, 2186-2193.

¹¹⁸ Regulation (EC) No 593/2008 of the European Parliament and of the Council on the law applicable to contractual obligations, 2008, Article 9(3).

¹¹⁹ იქვე, Article 9(3).

¹²⁰ Hwang M., Lin K., Corruption in Arbitration: Law and Reality, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 33.

სამართალთან, ვიდრე რომელიც არჩეულია თავად მათ მიერ.¹²¹ მუხედავად ამისა, არის წინა-აღმდეგობა იმასთან დაკავშირებით გამოიყენება თუ არა ეს მიდგომა საერთაშორისო არბიტრაჟში. შვეიცარიის სასამართლოებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ PILA შეიძლება გამოიყენონ მაშინ, როცა საერთაშორისო საარბიტრაჟო დავები განიხილება შვეიცარიაში და, შესაბამისად, მუხლი 187, რომელიც განსაზღვრავს, რომ მხარეთა მიერ არჩეული სამართალი იქნება უპირველესად გათვალისწინებული. მეორე მხრივ, შვეიცარიის ფედერალურმა ტრიბუნალმა აღნიშნა რამდენჯერმე, რომ ხელშეკრულების დამაჯერებელი ნამდვილობისთვის ტრიბუნალმა უნდა განიხილოს ევროპის კონკურენციის სამართალი, მაშინაც კი როცა მხარეებმა გააკეთეს აშკარა მითითება ხელშეკრულებაში გამოსაყენებელ სამართალთან დაკავშირებით.¹²² ამგვარად, საარბიტრაჟო ტრიბუნალებმა PILA-ს 187-ე მუხლი უნდა გამოიყენოს, როგორც ვალდებულების შესრულების სამართლის იმპერატიულ ნორმად.

ინგლისის საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები, რომლებიც გამოიყენება ძირითადად თანამეგობრობის ყველა ქვეყანაში, არ უჭერს მხარს იმ პრინციპს, რომ გარკვეულ შემთხვევებში ვალდებულების შესრულების ადგილის იმპერატიულ ნორმებს აქვს უპირატესი ძალა მხარეთა მიერ არჩეულ სამართალთან შედარებით.¹²³ მიუხედავად ამისა, საგამონაკლისო სახით ეს პრინციპი დადგინდა საშუამავლო ხელშეკრულების უკანონობის საკითხის გასარკვევად საქმეზე *Foster v. Driscoll*,¹²⁴ სადაც ხელშეკრულება ვისკის იმპორტის თაობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო კანონიერი გამოსაყენებელი სამართლის მიხედვით (ინგლისური სამართალი), მაგრამ დარღვეულია ვალდებულების შესრულების ადგილის იმპერატიული სამართლის ნორმები, ე.ი. ამერიკის შეერთებული შტატების სამართალი. სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეთა განზრახვა შეესრულებინათ ქმედება, რომელიც იყო უკანონო ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიხედვით და შედეგად ხელშეკრულება არ აღსრულდა. შესაბამისად, საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების გამოყენებისას საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ მიემხრო საშუამავლო ხელშეკრულებას, რომელიც მხარეებმა დადეს იმ განზრახვით, რომ დაერღვიათ ვალდებულების შესრულების ადგილის ანტიკორუფციული სამართალი. მეტიც, კომენტატორები ასაბუთებენ, რომ ეს პრინციპი უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევებზე, როდესაც მხოლოდ ერთ მხარეს აქვს იმის განზრახვა, რომ იმოქმედოს ვალდებულების შესრულების ადგილის იმპერატიული ნორმების საწინააღმდეგოდ. ამ შემთხვევაში, მხარეს აქვს იმის განზრახვა, რომ (მაგრამ არა უდანაშაულო მხარეს) რომ არ შესრულდეს ხელშეკრულება.¹²⁵

Hilmarton-ის საქმე¹²⁶ არის კარგი ილუსტრაცია იმისა, თუ როგორი მიდგომები აქვთ სხვადასხვა სასამართლოს და საარბიტრაჟო ტრიბუნალს ამ საკითხთან დაკავშირებით. მხარეებმა დადეს საშუამავლო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც *Hilmarton-ს* უნდა დაედო სამშენებლო ხელშეკრულებები *Omnium de Traitment (OTV)*-სთვის ალგერიის მთავრობისგან. შვეიცარიის სამართალი იყო ხელშეკრულების ძირითადი სამართალი და საარბიტრაჟო გან-

¹²¹ *Sayed A.*, *Corruption in International Trade and Commercial Arbitration*, Kluwer Law International, Hague, 2004, 271-272.

¹²² *Hwang M., Lin K.*, *Corruption in Arbitration: Law and Reality*, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 35.

¹²³ იქვე, 35.

¹²⁴ United States Court of Appeals, KB 287, *Foster v. Driscoll and Others*, *Lindsay v. Atfield and Another*, *Lindsay v. Driscoll and Others*, 1929.

¹²⁵ *Hwang M., Lin K.*, *Corruption in Arbitration: Law and Reality*, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 36.

¹²⁶ ICC Rulings: ICC case No. 5622, 1988 and 1992; French Supreme Court, *Hilmarton Ltd. v. Omnium de Traitment et de Valorisation S.A.*, 1994; Swiss Federal Tribunal, *Hilmarton Ltd. v. Omnium de Traitment et de Valorisation S.A.*, 1990; High Court of Justice, Queen's Bench Division, *Hilmarton Ltd. v. Omnium de Traitment et de Valorisation S.A.*, 1999.

ხილვის ადგილი იყო შენევა. ამ შემთხვევაში, ერთმა არბიტრმა გადახედა ხელშეკრულებას შვეიცარიის სამართლის მიხედვით, რომელიც მხარეების მიერ იყო არჩეული და ალგერიულ სამართალს, როგორც ვალდებულების შესრულების ადგილის სამართალს. დავა წარმოიშვა მას შემდეგ, რაც OTV, რომლის მოგებისთვისაც Hilmarton-მა დადო ხელშეკრულება, მოითხოვდა მომსახურებისთვის გარკვეული თანხის გადახდას, რომელიც საშუალოდ ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული. OTV ასაბუთებდა, რომ ხელშეკრულება იყო უკანონო, არღვევდა ალგერიის საჯარო წესრიგს და შესაბამისად უნდა გაუქმებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიის სამართალი არ კრძალავს გავლენით დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებებს, თუ არ არის დადგენილი მექრთამეობის ფაქტი, - ხელშეკრულება იქნება ნამდვილი. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიიღო OTV-ს განცხადებები უკანონობასთან დაკავშირებით იმ საფუძვლით, რომ ხელშეკრულება იყო არაკანონიერი ვალდებულების შესრულების ადგილის სამართლის მიხედვით, დაარღვევდა შვეიცარიის მორალურ პრინციპებს და შედეგად არ შესრულდებოდა. მიუხედავად ამისა, შვეიცარიის ფედერალურმა ტრიბუნალმა ბათილად ცნო გადაწყვეტილება იმ საფუძვლით, რომ ალგერიის სამართალი იყო ძალიან ლიბერალური, არღვევდა მხარეთა ავტონომიის პრინციპს მაშინ, როცა შვეიცარიის სამართლის მიხედვით ხელშეკრულება იყო ნამდვილი, თუ მხარეებს არ ჰქონდათ იმის განზრახვა რომ ემოქმედათ არაკანონიერად.¹²⁷

მეორე საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, რომელიც შეიქმნა მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება ბათილად ცნეს, აღმოაჩინეს რომ ხელშეკრულება იყო აღსრულებადი და გამოსცეს ბრძანება OTV-სთვის, რომ გადაეხადა თანხა Hilmarton-სთვის ვალდებულების შესრულებისთვის. შედეგად, Hilmarton-მა მოითხოვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ინგლისის უმაღლეს სასამართლოში, სადაც OTV-მ განახორციელა შემხვედრი ქმედება და გაასაჩივრა გადაწყვეტილება იმავე საფუძვლით – რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება იყო უკანონო ვალდებულების შესრულების ადგილის სამართლის მიხედვით და შესაბამისად ალგერიის საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო. ინგლისის უმაღლესმა სასამართლომ აღასრულა გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ აღიარა, რომ ინგლისის საარბიტრაჟო ტრიბუნალი აღიარებდა რომ იგივე დავა შესაძლებელია გადაწყვეტილიყო სხვაგვარად. Hilmarton-ის განცხადების უარყოფით *Foster v. Driscoll* საქმის მსგავსად, რომლის მიხედვითაც მხარეთა განზრახვა შეესრულებინათ ხელშეკრულება იმ ქვეყანაში, რომელიც კრძალავდა საშუალო ხელშეკრულებებს შეეძლო ეთამაშა გადამწყვეტი როლი.¹²⁸

ზემოთ აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები, რომლებიც გამოიყენება საარბიტრაჟო ტრიბუნალის ან ნაციონალური სასამართლოების მიერ თამაშობს გადამწყვეტ როლს იმის განსაზღვრაში შეუძლია თუ არა ვალდებულების შესრულების ადგილის სამართლის იმპერატიულ ნორმებს მხარეთა მიერ არჩეული სამართლის გადანონვა. უდავოა, რომ თუ იმპერატიული სამართლის ნორმების გამოყენება უარყოფილი იქნება, მაშინ მხარეთა მიერ არჩეული სამართალი იმოქმედებს ხელშეკრულებაზე. სხვა მხრივ, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ იმპერატიული ნორმები, რომლებიც კრძალავს საშუალო ხელშეკრულებებს აამოქმედებს PILA-ს მე-19 მუხლს, მაშინ როცა საერთო სამართლის ქვეყნებში არის უფრო დიდი ალბათობა იმისა, რომ იმპერატიული ნორმები იმოქმედებს *Foster v. Driscoll*-ის წესის შესაბამისად. მიუხედავად ამისა, სანამ *Foster v. Driscoll*-ის წესი იურიდიულ ზეგავლენას მოახდენს, მხარეთა განზრახვა აუცილებლად უნდა განიხილოს, განსაკუთრებით, თუ მათ აირჩიეს სამართალი მხოლოდ ერთი განზრახვით, რომ თავი აარიდონ იმ ქვეყნის საჯარო წესრიგის შეზღუდვებს, რომელიც დავასთან ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული. შემდეგ მხარეთა მიერ არჩეულ სამართალს

¹²⁷ Swiss Federal Tribunal, *Hilmarton Ltd. v. Omnium de Traitment et de Valorisation S.A.*, 1990.

¹²⁸ High Court of Justice, Queen's Bench Division, *Hilmarton Ltd. v. Omnium de Traitment et de Valorisation S.A.*, 1999.

გადანონის ვალდებულების შესრულების ადგილის სამართალი. ეს პრინციპი დადგენილი არის საქმეში *Peh Teck Quee v Bayerische Landesbank Girozentrale*,¹²⁹ სადაც მოსარჩელები მოითხოვდნენ ხელშეკრულების არაკანონიერად ცნობას ვალდებულების შესრულების ადგილის სამართლის მიხედვით (მალაიზიური სამართალი) მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სინგაპურის სამართლის მიხედვით უნდა დარეგულირებულიყო ხელშეკრულება მხარეთა არჩეული სამართლის შესაბამისად. ამ შემთხვევაში, სასამართლომ დაასკვნა, რომ მხარეებს ჰქონდათ კარგი მიზეზები სინგაპურის სამართლის ასარჩევად და შესაბამისად მათ არ ჰქონათ მიზნად მალაიზიის მარეგულირებელი აქტებისთვის გვერდის ავლა. შედეგად, მხარეთა მიერ არჩეული სამართალი იქნა გათვალისწინებული, მაგრამ სასამართლო იყო აშკარა თავის დასაბუთებაში და აღნიშნა, რომ მხარეთა განზრახვა ასრულებდა გადამწყვეტ როლს ხელშეკრულების ნამდვილობის განსასაზღვრად.

ამგვარად, მხარეთა არაკეთილსინდისიერება შეიძლება განვიხილოთ, როგორც საშუალო ხელშეკრულებების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი იმ სამართლის მიხედვით, რომელიც ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული დავასთან. ამის საპირისპიროდ, ღირს იმის აღნიშვნა, რომ *Rome I* რეგულაციის მიხედვით, ხელშეკრულების სუბიექტური ელემენტი არის არარსებითი. კომენტატორები ფიქრობენ, რომ კანონმდებლებს სურდათ მხარეთა ცუდი განზრახვის შეზღუდვა – ვალდებულების შესრულების ადგილის სამართლის გვერდის ავლა.¹³⁰ ეს შესაბამისად ნიშნავს, რომ მხარეთა საშუალო ხელშეკრულება იურიდიულად ძალადაკარგულად გამოცხადდეს სასამართლოებისა და საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ, თუ ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულებები შესრულებულია იმ ქვეყანაში, რომელიც კრძალავს ამგვარი სამსახურის განევას ამ ქვეყანაში.

3.2.2.2 საარბიტრაჟო განხილვის ადგილის მნიშვნელობა

საშუალო ხელშეკრულების ნამდვილობის განსასაზღვრად ტრიბუნალებმა აგრეთვე უნდა გაითვალისწინონ საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სამართალი და განსაზღვრონ არღვევს თუ არა ხელშეკრულება ამ სახელმწიფოს საჯარო წესრიგის ფუნდამენტურ პრინციპებს. საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სამართალი შესაძლებელია გამოიყენონ თუ ირღვევა მორალის ფუნდამენტური პრინციპები ან თუ ხელშეკრულებას აქვს მჭიდრო კავშირი საარბიტრაჟო განხილვის ადგილთან.¹³¹

საქმეში *Soleimany (the „father“) v. Soleimany (the „son“)*¹³² დავა წარმოიშვა მამასა და შვილს შორის, რომელიც ეხებოდა ხელშეკრულებას ხალიჩების კონტრაბანდაზე ირანიდან. საარბიტრაჟო პროცესი წარმართა ლონდონში *Beth Din*–მა – ისრაელის სასამართლოს მთავარი რაბი, რომელიც იყენებდა ისრაელის სამართალს¹³³ – რომელიც აღიარებდა, რომ ქმედებები შესრულებული იყო უკანონო წარმოებით, იყო არაკანონიერი და იყო ირანის სამართლის საწინააღმდეგო. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულება შესრულდა იმ საფუძველით, რომ ამ ფაქტებს არ ჰქონდა მნიშვნელობა ისრაელის სამართლის მიხედვით, რომელიც წარმოადგენდა ხელშეკრულებისთვის გამოსაყენებელ სამართალს, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ დადასტურებულ უკანონობას არ ექნებოდა გავლენა მხარეთა უფლებებზე. საარბიტრაჟო გადანწყვეტილების გამოტანის შემდეგ, შვილმა მიმართა სასამართლოს ამის შესაფასებლად. მოსამართლემ გა-

¹²⁹ Singapore Court of Appeal, CA 47/1999, *Peh Teck Quee v Bayerische Landesbank Girozentrale*, 1999.

¹³⁰ *Fawcett J., Carruthers J.*, Private International Law, 14. Edition, Oxford University Press, Oxford, 2008, 728-740; *Born G.*, International Commercial Arbitration, Kluwer International, Hague, 2009, 2186 – 2193.

¹³¹ *Fawcett J., Carruthers J.*, Private International Law, 14. Edition, Oxford University Press, Oxford, 2008, 142-146.

¹³² Court of Appeal of England, 97/0882 CMSI, *Sion Soleimany v. Abner Soleimany*, 1999.

¹³³ *Beth Din* ებრაელი მაღალჩინოსანი, რომელმაც შესთავაზა ებრაულ საზოგადოებას სამოქალაქო არბიტრაჟი და რელიგიური წესები.

მოსცა ბრძანება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების თაობაზე, მაგრამ ამავე დროს მამას ჰქონდა იმის უფლება, რომ მიემართა ბრძანების ბათილად ცნობისთვის თოთხმეტი დღის განმავლობაში. შედეგად მამამ მიმართა ინგლისის სააპელაციო სასამართლოს სააღსრულებო წარმოების შეჩერების შესახებ ბრძანების გაუქმების მოთხოვნით. მამის შუამდგომლობა იყო წარმატებული და ინგლისის სასამართლომ უარყო გადაწყვეტილების აღსრულება, რადგან ეს არღვევდა ინგლისის საჯარო წესრიგის ფუნდამენტურ პრინციპებს. ხელშეკრულება იყო აგრეთვე არაკანონიერი ირანის სამართლის მიხედვით (ვალდებულების შესრულების ადგილის სამართალი), მაგრამ ინგლისის საჯარო წესრიგის პრინციპები ისე ამკარად იყო დარღვეული, რომ აღნიშნული საკმარის საფუძველს წარმოადგენდა გადაწყვეტილების აღსრულებლობისთვის.¹³⁴ ამგვარად, ხელშეკრულება ასევე გაბათილდებოდა, თუ ხელშეკრულება იქნებოდა კანონიერი ირანის სამართლის მიხედვით.

საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სამართალი შესაძლებელია შეიცვალოს აგრეთვე მხარეთა მიერ არჩეული სამართლით, მაშინაც კი როცა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არღვევს საარბიტრაჟო განხილვის ადგილის საჯარო წესრიგს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მორალური პრინციპების ფუნდამენტური დარღვევა. ამგვარად, კანონის დარღვევა შესაძლებელია იყოს საშინაო და არ არის აუცილებელი იყოს საერთაშორისო. მიუხედავად ამისა, ამ საჯარო წესრიგში ორივე – საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა და ვალდებულების შესრულების ადგილის სამართალი – უნდა იყოს დარღვეული. საშუამავლო ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელეს მოუწევდა, რომ განეახლებინა ხელშეკრულება ყატარის მაღალჩინოსნების გავლენის გამოყენებით. საშუამავლო ხელშეკრულების შემომნების შემდეგ ინგლისის სასამართლომ დაადგინა, რომ ეს იყო ორივე ქვეყნის სამართლის საწინააღმდეგო, ე.ი. საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სამართლისა (ინგლისური სამართალი) და ვალდებულების შესრულების სამართლის (ყატარის სამართალი). სასამართლომ შემდეგ აღნიშნა, მიუხედავად იმისა რომ ხელშეკრულება არ არღვევდა ინგლისის საერთაშორისო საჯარო წესრიგის მთავარ პრინციპებს, ეს მაინც არ აღსრულდებოდა, რადგან დაირღვა ორივე სახელმწიფოს საჯარო წესრიგი. შედეგად, სასამართლომ დაადგინა, რომ საშუამავლო ხელშეკრულება არ იყო შესრულებადი. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ საქმეში ინგლისის სამართალი იყო გამოსაყენებელი საშუამავლო ხელშეკრულებისთვის. *Westacre*-ის საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ *Lemenda*-ს პრინციპი ისევე გამოიყენება, მაშინაც კი როცა ხელშეკრულება არ რეგულირდება ინგლისური სამართლის მიხედვით.¹³⁵

შესაბამისად, *Lemenda*-ს წესის მიხედვით, სასამართლოებმა შესაძლებელია გააბათილონ ან უარი თქვან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე, რომელიც ახალისებს ვალდებულების შესრულების ადგილის ან საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სამართლის საშინაო საჯარო წესრიგის დარღვევას.

4. დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენდა იმის ილუსტრირება, თუ რა მთავარი საფუძვლები არსებობს იმისა, როდესაც სასამართლოს შეუძლია ჩაეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში. უფრო მეტი ყურადღება გამახვილდა კორუფციაზე, რადგან ეს ანგრევს ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს საჯარო წესრიგის მთავარ პრინციპებს; ეს არის საერთაშორისო დონეზე გაკიცხული და მტკიცედ დადგენილი. ერთი შეხედვით, მსჯავრის დადება ნამდვილად არის იმპლემენტირებული საარბიტრაჟო და სასამართლო პრაქტიკაში. მიუხედა-

¹³⁴ The High Court of Appeal of England, *Westacre Investments Inc v. Jugoinport-SDRP Holding Company Ltd.*, APP.L.R. 05/12, 1999, para. 34.

¹³⁵ იქვე, პარ. 34-35

ვად ამისა, კვლევამ ნათელი გახადა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალებს, ასევე ნაციონალურ სასამართლოებს სხვადასხვა მიდგომა აქვთ კორუფციასთან დაკავშირებულ საქმეებთან. ამ ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა იმის განმარტება, თუ რატომ არ არსებობს ერთიანი სისტემა საერთაშორისო დავის გადაწყვეტის სისტემის პრაქტიკაში საჯარო წესრიგის დაცვის გათვალისწინებით კორუფციის საფუძვლით არსებული საჩივრებისა. ამ განსხვავების მთავარი მიზეზები შეჯამებული იქნება ქვემოთ.

პირველი, სხვადასხვა იურისდიქცია განმარტავს კორუფციას სხვადასხვა გზით. განსაკუთრებით, მათ აქვთ სხვადასხვა ხედვა უნდა ჩაითვალოს თუ არა საშუამავლო ხელშეკრულება კორუფციის განსაკუთრებულ ნიმუშად. მეორე, საარბიტრაჟო ტრიბუნალები განხვადებიან ერთმანეთისგან მტკიცების ტვირთის სტანდარტით, რასაც ისინი მოითხოვენ მხარისგან, რომ დაამტკიცონ კორუფციის არსებობა. მესამე, საარბიტრაჟო ტრიბუნალები და ნაციონალური სასამართლოები, რომლებიც იყენებენ სხვადასხვა იურისდიქციის საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებს, მიყვავართ სხვადასხვა შედეგამდე, თუ მხარეთა არჩეულ სამართალს გადაწონის საარბიტრაჟო განხილვის ადგილის ან ვალდებულების შესრულების ადგილის სამართალი. ამ საკითხს, სხვა მხრივ, აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა კორუფციის შემცველი ხელშეკრულებების ან/და გადაწყვეტილებების აღსასრულებლად. ბოლო მთავარი მიზეზი ამისა არის ის, რომ ნაციონალურ სასამართლოებს აქვთ სხვადასხვა მიდგომა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ჩარევის ფარგლების მიმართ, რასაც მიყვავართ განსხვავებულ გადაწყვეტილებამდე მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია საქმეებს ჰქონდეთ მგავსი გარემოებები.

წინამდებარე ნაშრომში სავარაუდოდ მოხერხდა იმ მთავარი საფუძვლების განხილვა, თუ რა შემთხვევაში შეუძლია და რა ფარგლებით შეუძლია სასამართლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ჩარევა გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას. უდავოა, რომ სხვადასხვა იურისდიქციის ჰარმონიზაცია ამ საკითხთან მიმართებით შეამცირებს წინააღდეგობებს არსებულს საერთაშორისო დავის გადაწყვეტის პრაქტიკაში კორუფციასთან და თემაში განხილულ სხვა საფუძვლებთან დაკავშირებულ საქმეებზე.

ბიბლიოგრაფია:

1. ლილუაშვილი თ., „საერთაშორისო კერძო სამართალი“, თბ., 2012, 167.
2. ცერცვაძე გ., „საერთაშორისო არბიტრაჟი“, თბ., 2012 23.
3. Belgian Judicial Code, 2007.
4. English Arbitration Act, 1996.
5. German Arbitration Law, 1998.
6. Italian Code of Civil Procedure, 1942
7. Netherlands Code of Civil Procedure, 1992.
8. New York Convention, 1958.
9. Regulation (EC) No 593/2008 of the European Parliament and of the Council on the law applicable to contractual obligations, 2008.
10. Swiss Federal Code on Private International Law, 1987.
11. UNCITRAL Model Law, 2006.
12. Auf'mkolk H., US Punitive Damages Award before German Courts – Time for a New Approach, in: Freiburg Law Students Journal, Vol. 3, Issue 6, University of Freiburg, Freiburg, 2007, 4.
13. Doraisamy R., AJU v AJT: Drawing the Line for Judicial Intervention in Arbitral Awards, official legal opinion on AJU v AJT case of DueanneMoriss & Selvam LLP (law firm), 2012, 3-4.
14. Nelson E., The Enforcement of Foreign Arbitral Awards based on Illegal Contracts, in: Lloyd's Maritime and Commercial Law Quarterly 2000, Vol.20, Issue 4, 199, 504 – 506, 514, 514, 800.

15. Fawcett J., Carruthers J., *Private International Law*, 14. Edition, Oxford University Press, Oxford, 2008, 143-146.
16. Born G., *International Commercial Arbitration*, Kluwer International, Hague, 2009, 1747-1757, 1770-1773, 2139-2140, 2172-2173, 2186-2193, 2552, 2556-2560, 2572-2578, 2596-2598, 2605-2609, 2613-2616, 2637-2638, 2827-2863.
17. Gaillard E., *Extent of Court Review of Public Policy*, in: *New York Law Journal*, Oxford University Press 1994, ALM, New York City, 2007, 3.
18. Born G., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer International, Hague, 134-135, 322-325, 327-328.
19. Born G., *International Commercial Arbitration*, Vol. 2, Kluwer International, Hague, 2015, 2573-2575.
20. Hanotiau B., *Satisfying the Burden of Proof: The Viewpoint of a Civil Law Lawyer*, in: *Arbitration International* 1994, Vol. 10, Issue 3, Oxford University Press, Oxford, 1994 268-269, 804.
21. Harbst R., *Korruption und Andere Ordre Public-Verstöße als Einwände im Schiedsverfahren - Inwieweit Sind Staatliche Gerichte an Sachverhaltsfeststellungen des Schiedsgerichts Gebunden*, *Zeitschrift für Schiedsverfahren* 2007, Vol. 17, Issue 1, Deutsche Institution für Schiedsgerichtsbarkeit, Frankfurt, 26.
22. Hwang M., Lin K., *Corruption in Arbitration: Law and Reality*, paper presented at Herbert Smith-SMU Asian Arbitration Lecture, Singapore, 2011, 26, 30, 33-37, 54-55, 58, 60-62, 66, 70, 76-77.
23. Leong C.Y., *Commentary on AJT v. AJU*, Singapore International Arbitration Centre, 2010, 3-4.
24. Timothy M., *An International Arbitration and Corruption: Evolving Standard*, in: *Transnational Dispute Management* 2004, Vol. 1, Issue 2, 38. 38.
25. Mayer P., *Mandatory Rules of Law in International Arbitration*, in: *Arbitration International*, 1986, Vol. 2, Issue 4, Oxford University Press, Oxford, 275.
26. McIlwarth M., Savage J., *International Arbitration and Mediation, A Practical Guide*, Kluwer International, Hague, 2010, 327.
27. Nicholls C., Timothy D., Bacarese A., Hatchard J., *Corruption and Misuses of Public Office*, 2. edition, Oxford University Press, Oxford, 2011, 310 – 311.
28. Sayed A., *Corruption in International Trade and Commercial Arbitration*, Kluwer Law International, Hague, 2004, 15, 24, 35, 168-169, 190-230, 271-272, 348-353, 291-421.
29. Sheppard A., Delaney J., *The Effect of Allegations of Corruption of International Arbitration Proceedings, in Particular in Relation to the Jurisdiction of the Tribunal and the Enforcement of Awards*, paper presented at the 10th International Anti-corruption Conference, October, 2001, Prague, 3-4.
30. Takahashi K., *Jurisdiction to Set Aside a Foreign Arbitral Award, in Particular an Award Based on an Illegal Contract: a Reflection on the Indian Supreme Court's Decision in Venture Global Engineering*, in: *American Review of International Arbitration* 2008, Vol. 19, Issue 1, 183.
31. *UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration, Explanatory Documentation prepared for Commonwealth Jurisdictions*, The Commonwealth Secretariat, London, 1991, 5.
32. *The Singapore Court of Appeal, SGCA 41, AJU v AJT*, 2011.
33. *Street Assoc., LLC v. Mattel, Inc.* 128 s. Ct 1396 (U.S. S. Ct. 2008).
34. *World Duty Free, International Centre for Settlement of Investment Disputes Washington ("ICSID"), D.C., World Duty Free Company Limited v. The Republic of Kenya, ARB/00/7*, 2006.
35. *Lesotho Highlands Dev. Auth. v. Impregilo SpA* [2006] 1 A.C. 221, at 29 (House of Lords).
36. *ASM Shipping Ltd of India v. TTMI Ltd of England* [2005] EWHC 2238 (Comm.) (Q.B.).
37. *HCC Aviation Inc. Group, Inc. v. Employers Reins. Corp.*, 2005 U.S. Dist. LEXIS 19992 (N.D. Tex. 2005). Judgement of 3 October 2000 *Nejapa Power Company v. CEL*, DFT 4P.60/2000, cons. 3a, 19ASA Bull. 796 (Swiss Federal Tribunal).
38. *Lucent Tech., Inc. v. Tatung Co.*, 379 F.3d 24, 31 (2d Cir. 2004).
39. *High Regional Court of Bavaria*, 4Z Sch 23/02, 2003.
40. *Int'l Transactions Ltd v. Embotelladora Argal Regiomontana*, 347 F.3d 589, 594 (5th Cir. 2003), Judgement of 16 March 2004, 22 ASA Bull. 770, 779 (Swiss Federal Tribunal).
41. *Paris Court of Appeal*, No. 2002/60932, *SA Thales Air Défense v. Euromissile*, 2002.
42. *Karaha Bodas Co. v. Perusahaan Pertambangan Minyak Dan Gas Bumi Negara*, 190 F.Supp.2d 936, 945 (S.D. Tex. 2001).

43. The High Court of Appeal of England, *Westacre Investments Inc v Jugoimport-SDRP Holding Company Ltd.*, APP.L.R. 05/12, 1999.
44. Court of Appeal of England, 97/0882 CMSI, *Sion Soleimany v Abner Soleimany*, 1999.
45. AAOT Foreign Economic Ass'n (VO) *Technostroyeksport v. Intl'l Dev. And Trade Sers. Inc.*, 139 F.3d 980 (2d Cir.1999).
46. High Court of Justice, Queen's Bench Division, *Hilmarton Ltd. v. Omnium de Traitment et de Valorisation S.A.*, 1999.
47. High Court of Justice, Queen's Bench Division, *Hilmarton Ltd. v. Omnium de Traitment et de Valorisation S.A.*, 1999.
48. Paris Court of Appeal, *Thomson-CSF v Frontier AG*, 1999.
49. Singapore Court of Appeal, CA 47/1999, *Peh Teck Quee v Bayerische Landesbank Girozentrale*, 1999.
50. United States Court of Appeals, Second Circuit, 139 F.3d 980, *AAOT Foreign Economic Association vo Technostroyexport v. International Development and Trade Services Inc.*, 1998.
51. High Regional Court of Hamburg, 6 U 110/97, 1998.
52. Paris Court of Appeal, *Thomson-CSF v. Frontier AG*, 1998.
53. Swiss Federal Tribunal, *Thomson-CSF v Frontier AG*, 1997.
54. ICC Rulings: ICC case No. 7664, *Frontier AG v. Brunner Societe vs Thomson CSF*, Final Award, 1996.
55. Swiss Federal Tribunal, *Westacre Investments Inc v Jugoimport-SDRP Holding Company Ltd*, 1996.
56. *Westacre Investments Inc. v. Jugoimport – SDPR. Holding Co. Ltd*, Arbitral Award, 1994.
57. *Hilmarton Ltd. v. Omnium de Traitment et de Valorisation S.A.*, 1994.
58. Paris Court of Appeal, *Alsthom Gas Turbines SA v Westman International Ltd*, 1993.
59. Swiss Federal Tribunal, *Hilmarton Ltd. v. Omnium de Traitment et de Valorisation S.A.*, 1990.
60. ICC Rulings: ICC case No. 5622, 1988 and 1992. French Supreme Court.
61. *Fiat SpA v. Ministry of Fin. And Planning*, 1989 U.S. Dist. LEXIS 11995 (S.D.N.Y. 1989).
62. Unites States Supreme Court, 83-1569, *Mitsubishi Motors Corp. v Soler Chrysler-Plymouth Inc*, 1985.
63. United States District Court, C.D. California, CV83-7945, *Northrop Corp. v Triad Financial Establishment*, 1984.
64. United States District Court, N.D. New York, 83-CV-529, *Swift Indep. Packing Co. v. District Union Local One, United Food & Commercial Workers International Union*, 1983.
65. *Coast Trading Co. v. Pacific Molasses Co.*, 681 F. 2d 1195, 1198 (9th Cir. 1982).
66. United States Court of Appeals, Second Circuit, 449 F.2d 106, *Cook Industries, Inc. v. C. Itoh & Co. (America) Inc.*, 1971.
67. United States District Court, SD New York., 72 F.Supp. 825, *San Carlo Opera Co., Ltd. v. Conley*, 1946.
68. United States Court of Appeals, KB 287, *Foster Driscoll and Others, Linday v. Attfield and Another, Lindsay v Driscoll and Others*, 1929.
69. *Coast Trading Co. v. Pacific Molasses Co.*, 681 F. 2d 1195, 1198 (9th Cir. 1982).
70. <<http://www.williamwpark.com/documents/Why%20Courts%20Review%20Awards.pdf>>, 535.